



40
360/3

საბავშვო
ლიტერატურა

140/3

18

პიონერი 7
1960



ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მე-6 კლასელმა ნინო თირქიამ ჩაის საუკეთესო შერეფავის სახელი მოიხვეჭა, იგი დღეში 20-25 კგ, „მწვანე ოქროს“ აბარებს სახელმწიფოს.

პ ი თ ნ ე რ ი



საქართველოს ალკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელმწიფოს ნორმის
პრონაშობა ორგანიზაციის
კმხმუხლიკური საბჭოს
უხველთვიური საბავშვო
ჟურნალი



ივლისი
1960

გამოცემის ხელი
XXXIV

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, შ. ლეზანიძე (პ.მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

შინააკსი

თ. სახაროვი—შრომა სიხარულია (ნარკვევი)	2	88.
რ. ქორქია—ეპიზოდები შჩორსის ცხოვრებიდან	6	
გაინტერესებთ? — გიპასუხებთ	8	
ალ. ხურთიკაშვილი—ტეკვის ჯადოქარი (გაგრძე- ლება)	10	
შ. ორბელიძე—ავთანდილ გადინადირა (ნარკვევი)	14	
ჯ. ნიქაბაძე—კოლხურა (პოემა)	16	
შ. ძიძიგური—ხატოვანი სიტყვები (წერილი)	18	
ს ნაციაშვილი - ერთი სურათის ამბავი	19	
ლ. ფრუიძე—ლამლუზის დარბევა (ძოთხრობა)	20	
ტექნიკის სამყაროში	24	
ს. შამფრიანი—მწვერვალები (ლექსი)	24	
ორასიო კიროვა — უზარმაზარი კუ (ზღაპარი, თარგმნა ბ. შირცხულავამ)	26	
თ. გიორგაძე—მსოფლიოს ახალი ჩემპიონი — (წე- რილი)	27	
იცით თუ არა შენ?	28	
გ. სიღამონიძე—ტასო ვაქირელი (წერილი)	29	
რაჯა და მენაგე — ინდური თქმულება (თარგმ- ნა ნ. თოფჩიშვილმა)	30	
მოკლედ ყველაფერზე	31	
საინტერესო თემაზე	32	
იუმორი	32	



გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის: თ. სამსონაძეს.
გარეკანის შესამე გვერდზე „თავისუფალ დროს“.
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: დ. ხახუ-
ტაშვილის, შ. ლეჟავას, გ. სამსონაძისა და გ. როინიშ-
ვილის მიერ.





ნიკეა-დსიგნისა ყუილდესა, უსაყვასა
 მჩაიებო ნუნუ ჯაბუა, ზაირა წიწავა და ნი-
 ნო თირქია.

ნინელი ჭითანავა გულმოდგინედ ასვენს
 სტანდარტული ზომის ძელაკებს პერგამენტისა
 და „ვერცხლის“ ქალაღებში
 ინჰლიროთუკა



უიოპ ზახაროცო

კაზლუ-რუდა-ზუგდიდი

ლიტვის ქალაქ კაზლუ-რუდას სადგურს მატარებელი ნელი სვლით მიუახლოვდა და შეჩერდა. მგზავრები და დამხედურნი ერთმანეთში აირივნენ. ერთმა შავგრემანმა ვაჟკაცმა თავისი ხელბარგი შემნახველ საკანს ჩააბარა და იქაურობას სწრაფი ნაბიჯით გაშორდა. ძმათა სასაფლაოს კითხვა-კითხვით მიაგნო, შიგ შევიდა და ერთი სამარის ქვაზე ამოკვეთილ წარწერას დააკვირდა, თვალი ცრემლით აევსო. ქუდი მოიხადა, ფიქრმა წაიღო. თავი რომ ასწია, მის წინ გაოცებული ბიონერების ჯგუფი შენიშნა. თვითონაც გაუკვირდა, მაგრამ მალე მიხვდა მათი მოსვლის მიზეზს და დაიწყო:—აქ ჩემი უფროსი ძმა—ვალოდია ქაქუტია არის დაკრძალული.

— ჩვენ ადრეც ვიცოდით,—მორიდებულად შეაწყვეტინა რეგინა ვალოიტით, —რომ აქ ქართველი მეომარია დაკრძალული. იგი ჩვენი ქალაქის განთავისუფლებისათვის იბრძოდა და გერმანელ ფაშისტებთან ომში გმირულად დაეცა.

ჩვენი სკოლა აქვეა, და ჩვენმა რაზმეულმა გადაწყვიტა ყურადღება არ მოაკლოს გმირთა საფლავებს. აქაურობას ვასუფთავებთ, ვრგავთ ყვავილებს. ხშირად აქვე შეკრებებსაც გმართავთ. აქ დაკრძალულთა ბევრი ახლობელის მისამართი ვიცით და მიმოწერა გვაქვს მათთან, აგრეთვე, მშობლიური ქალაქებისა და სოფლების ბიონერებთან. სამწუხაროდ, ძია ვალოდის შესახებ არაფერი არ ვიცოდით, არც მისამართი გვქონდა.

რეგინას წინადადებით იქვე სახელდახელო შეკრება მოეწყო, შეკრებაზე

ვალოდის ძმამ კაზლუ-რუდელ ბიონერებს გმირის ბიოგრაფია უამბო და მისი მშობლიური ქალაქი—ზუგდიდიც გააცნო. ლიტველმა ბიონერებმა გაიგეს, რომ ვალოდია ქაქუტიას დისშვილი, მზია ჭანტურია, ზუგდიდის პირველ სკოლაში სწავლობს. ეს ამბავი სტანისლავა ნისიავიჩუტეს ძლიერ გაეხარდა, ისიც ხომ მზიასავით მეოთხე კლასში სწავლობს, და გადაწყვიტა წერილობით დაუკავშირდეს, დაუმეგობრდეს მას.

ლიტველმა ბიონერებმა პირველი წერილი და საჩუქარი ვალოდის ძმის ხელით გამოუგზავნეს ზუგდიდელ ბიონერებს.

იმ დღეს უჩვეულო ყრამული იდგა პირველ სკოლაში. კაზლუ-რუდელმა ბიონერებმა თავიანთ თანატოლებს ლიტკურ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ვებერთელა თო-

ჯინა გამოუგზავნეს საჩუქრად. თოჯინა ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა აღტაცებას გამოთქვამდა. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის ლუარა ჩილაჩავას წინადადებით ზუგდიდელმა პიონერებმა ქართული ჩაი, ხილი და დაფნის ფოთოლი გაუგზავნეს თავიანთ ლიტველ მეგობრებს.

პირველ წერილსა და საჩუქარს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე და ასე ჩაეყარა საფუძველი ლიტველი და ქართველი პიონერების მტკიცე მეგობრობას.

კომბოსტო ჩვენშიც ვახარეთ

ღმერთო ჩემო, რას არ ნახავს კაცის თვალი?—გაიფიქრა მოხუცმა და შუბლზე ხელმოჩრდილვით სკოლის ნაკვეთს გახედა. თავხვეულა კომბოსტო ზუგდიდის მიწაზე გახარებული ჯერ არ ენახა მას. სახტად დარჩენილმა იქვე მოფუსფუსე პიონერს გასძახა:—ერთი აქ მოდი, ჩემო შვილო! იოსებ დგებუაძემ საქმე მიატოვა და მკვირცხლად მიიბრინა მასთან, მოხუცის გაოცების მიზეზი რომ შეიტყო, ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ბოლოს დასძინა:—ეს ჩვენი მეზობლებს პირველი ცდაა. მას შემდეგ, რაც ნაკვეთი გავანაყოფიერეთ და თავხვეულა კომბოსტოს შეგუქმენით საჭირო პირობები, სექტემბერში გამოყვანილი ჩითილები გადავრგვთ კვლებში.


სკოლის მეტეოროლოგიურ სადგურში, დაკვირვებას ახდენენ ამინდზე. ფსიქრომეტრით ჰაერის ტენიანობას იკვლევენ, ქარის ძალას ანონომეტრით საზღვრავენ. მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მახწავლებლის თანხლებით კოშკურაზე ასულა და ფლიგელის მაჩვენებლებს ამოწმებს.

როგორც ხედავთ, ცდას უშედეგდ არ ჩაუვლია, თავხვეულა კომბოსტო ჩვენშიც ვახარეთ.

მაგრამ განა მარტო კომბოსტოს, სხვა მრავალ ბოსტნეულსაც ნახავთ პირველ სკოლელთა საცდელ ნაკვეთზე. აგერ იქ, სისხლივით წითელი პამიდორი რომ ელვარებს, მისი ჩითილების 400 ძირი პიონერებმა კვალსათბურში გამოიყვანეს, ადრეულ გაზაფხულზე კი პამიდორის ეს ჯიში «შუქურა» ნორჩმა მეზობლებმა კვლებში გადარგეს.

გულს ახარებს და მზერას ატკბობს ტყესავით აშოლტილი სიმინდი. პიონერებს გადაწყვეტილი აქვთ 200 კვადრატულ მეტრზე სიმინდის სარეკორდო მოსავალი—200 ცენტნერი მიიღონ პექტარზე გადაანგარიშებით.

— ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ,— აღნიშნა ენერა ოთხოზორიამ,—რათა დასახულ მიზანს მივადწიოთ. სიმინდის დათესვამდე ნიადაგში ფოსფოროვანი სასუქი შევიტანეთ, ხოლო დათესვისას—გადამწვარი ორგანული სასუქის აზოტოვანთან შერევით იქნა გამდიდრებული სიმინდის ნაკვეთი. ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩანს და, თუ ამინდმაც შეგვიწყობს ხელი, მიზანს უსათუოდ მივადწევთ, —ღიმილით დაამთავრა მან.



ვინ უხაკთა მესერი?

გაკვეთილების შემდეგ იასონ დგებუაძემ თოხი მხარზე გაიდო და სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთისაკენ გასწია. აი, იგი რკინის მაღალ მესერს მიადგა. აქ მას გასაძრომი ეგულებოდა. მაგრამ ეს რა ხდება? ნუთუ გზა აერია? არა, მას გზა არ აჰხნევია, იგი ზუსტად იქ მივიდა, საიდანაც ამ რამდენიმე დღის წინ ეზოში გადაძვრა, მაგრამ ახლა ამას ვეღარ გააკეთებს. ვიდაცის მაღლიან ხელს რკინის მესერი ოსტატურად შეუკე-

მზია კანტურიამ ლიტველ მეგობართა მიერ საჩუქრად გამოგზავნილი თოჯინა მიიხუტა და თავის თანატოლებს ზურაბ გულუას, ლონდა ლავგილაგას და მარინე კედიას მიუახლოვდა. ისინი კაზლუ-რუდაელ პიონერთა ალბომებს ათვალთვლებდნენ.



პირველი სკოლის სპორტულმა კოლექტივმა ბევრჯერ ასახელა მშობლიური სკოლა. რაიონის კომკავშირის კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა მათი წარმატებები ქების სიგელებით.

ეროვნული
ხელოვნება

74 ათასისათვის

მაისის შუა რიცხვები იყო, როცა რაზმეულის ცხრა რაზმი ენგურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებს მოეფინა, ხუმრობა ხომ არ არის, მათ წელს უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 74.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მეხუთე კლასელებმა პირობა დადეს, ყოველმა მათგანმა 250-260 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს, ხოლო მერვე და მეცხრე კლასელებმა 350-360 კილოგრამის მოკრეფა იკისრეს, და გახურდა მუშაობა.

იმ დღესაც შუაგულ მუშაობაში იყვნენ ბიონერები, როცა ლალი გიგიბერიამ თანატოლებს გასძახა:

— გოგოებო, რომელმა მოუსმინეთ გუშინ ჩვენი სკოლის რადიოკვანძის

თებია. იასონს გაეხარდა, — სკოლისათვის ზრუნავენო, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში მაინც ეწყინა, ნაკვეთში შესასვლელად ახლა ორჯერ უფრო მეტი გზა უნდა გაევილო, — ნეტავინ გააკეთა? — გაიფიქრა მან და ჭიშკარისაკენ გასწია. ეზოში შესულს ჩაქურჩისა და ხერხის რიტმული ხმა შემოესმა. — ვაი სირცხვილო! ასე რამ დამაზინა? ეს ხომ ჩვენი სკოლის ოსტატების საქმეაო, — გაუელვა მას და ნაკვეთის მაგიერ სახელოსნოსაკენ გასწია. კარი რომ შეაღო, იქ თავისი თანატოლები შენიშნა. აგერ ემზარ ლუკავას ხერხი მოუმარჯვებია და ცდილობს წინასწარ გაგვლებულ ხაზს ხერხის პირი არ ააცდინოს. მის გვერდით შოთა ჯიქია ოსტატურად აშალაშინებს ტანსაცმლის საკიდების ზურგს. აქეთ, უფროსი კლასელები: შუქრი კარტოზია და ნუკრი მესხია საქმიანობენ. ისინი უფრო რთულ სამუშაოს ასრულებენ, — სამგზავრო დასაკეც სკამებს ამზადებენ. იქვე რევაზ კვიტია ფუსფუსებს. მას საჭრისი მოემარჯვებია და ხეზე ლამაზი ქართული ჩუქურთმა გამოჰყავს...

— არა, ესენი იმ ღობის შემკეთებლები ნამდვილად არ არიან, — გაიფიქრა იასონმა და სახელოსნოს სიღრმეში შეაბიჯა.

— ბიჭოსი ეს შენა ხარ, იასონ? — გამოეხმაურა სახარატო ჩარხთან მოფუსფუსე ალექსი ხუმბულავა. — რა სტუმარივით იქცევი? — და მის ხელში

თოხი რომ შენიშნა, იფიქრა. ალბათ შესაკეთებლად მოიტანაო. — აბა, მიჩვენე რა სჭირს შენს თოხს, ახლავე ვუმკურნალებო, თუ ტარი, გაგიტყდა, აგერ დურგლებიც, — ისეთი ტარი გამოგითალონ, სიზმარშიც არ გენახოს... — ჩემს თოხს არა უჭირს რა, — გაბრაზებით გააწყვეტინა იასონმა. — ოღონდ, ეს გამაგებინე, მესერი რომელმა შეაკეთეთ, ან როგორ მოხდა, რომ ეს ამბავი გამომეპარა?

მეგობრებს სიცილი წასკდათ. კორნელიმ უთხრა, — ბოდიშ ვიხდით შენს წინაშე, თუ დავაშავეთ და ეს საქმე შენთან შეუთანხმებლად დავაკეთეთ. ისედაც სიცილის გუნებაზე მოსულ ოსტატებს კორნელის ხუმრობაზე თავშეუკავებელი ხარხარი წასკდათ. გაგულსებულმა იასონმა სხვა რომ ვერა მოახერხა რა, თოხი გაიღო მხარზე და ნაკვეთისაკენ გასწია.



სადურგლო დაზასთან გულმოდგინედ საქმიანობენ შოთა ჯიქია და ბეგლარ პაკორაა.

სკოლის რადიოკვანძი შეუფერხებლად მუშაობს. დიქტორი მადონა ქებურია „უკანასკნელ ცნობებს“ გადასცემს.

გადაცემებს. რაიმე საინტერესო ხომ არ უთქვამს ჩვენს დიქტორს?

— როგორ არა, მე მოვუსმინე, — გამოეხმაურა ნანი კრაგიშვილი. — სხვათა შორის, მან სთქვა, რომ ჩვენი რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გასულ წელს 315 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკ-

რიფს და სახელმწიფოს ჩააბარეს. ამისათვის კი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ისინი გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვა.

— ეე, რატომაც არა, ჩემო კარგო, — შეაწყვეტინა ლალი გიგიბერიამ — იმათ ჩაის პლანტაციები იქვე აქვთ, ჩვენსავით ქალაქიდან როდი დადიან...

ჩემო პატარებო, — ლაპარაკში გართულ გოგოებს სოციალისტური შრომის ორგზის გმირი, სახელოვანი მკრეფავი თამარ ყუფუნია წაადგა თავს. — გული თუ გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევთ, — ხომ გაგიგონიათ. ჰოდა, ახლა იმის მაგიერ, რომ მუშაობდეთ, ჩაის კრეფდეთ, ლაპარაკით ერთობით, ერთმანეთს აცდენთ, ჰკარგავთ ძვირფას დროს. გარდა ამისა, როგორც შეგინებთ, ზოგი თქვენგანი ჩაის ცალი ხელით კრეფს.

პიონერებმა ერთმანეთს გადახედეს, მართალს ამბობს დეიდა თამარიო და საქმეს მიაშურეს.

* * *

სამუშაო დღის შემდეგ, ნორჩმა მეჩაიებმა «მწვანე ოქრო» ფაბრიკას ჩააბარეს და, ის იყო, სახლებისაკენ წასვლას აპირებდნენ, რომ ყუთების დასამზადებელ საამქროდან ჩაქუჩების კაკუნს შემოესმათ. ძლიერ გაუკვირდათ დაღლილ, მაგრამ იმდღევანდელი შედეგით კმაყოფილ პიონერებს.


— ბიჭოს, ესენი კიდევ მუშაობენ! — წამოიძახა ნონა შეროზიამ და თავისი მეგობრები საამქროსაკენ გაიყოლა.

აგერ, სამ დას: მიმოზას, გულიკოს და დინარა გორდელაძეებს სტანდარტული ზომის ძელაკები დაუხვავებიათ და გულმოდგინედ ახვევენ მათ პერგამენტისა და «ვერცხლის» ქაღალდებში; იქით მიმოზა როგავა და ნაწული ჭითანავა ასრულებენ იგივე სამუშაოს. მათ გვერდით შრომისმოყვარე ბიჭუნები გოგონების მიერ გულდაგულ შეხვეულ ძელაკებს ფანერის ფირფიტებზე აჭედებდნენ და კარგა მოზრდილ ყუთებს კრავდნენ. აგერ, რევაზ ხუბულავა, ნუგზარ მოლაშხია, შოთა ჯიქია და სხვები უკვე გამზა-

დებულ ყუთებს მეტი სიმაგრისათვის თუნუქის სალტებს აკრავდნენ წიბოებზე.

აი, კარლო ხაფავამ უკვე გამზადებული ყუთი გვერდზე გადასდო და, ის იყო, მეორის შემოსალტვას აპირებდა, რომ საამქროს კარებში შემოსული თანატოლები შენიშნა.

— ბიჭებო, ჩვენი მკრეფავებიც მოვიდნენ, შაბაში დროა სამუშაო დავემთავროთ და ნაკრები რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს შევატყობინოთ.



— მოიცა, მოიცა! — ნაკრები რაზმი? — გაიოცა შოთა ჯიქიამ. — განა ჩვენს სკოლაში არსებობს ასეთი რაზმი?

— ერიპა, ეს ვგონებ ჭურში ზის, — სთქვა კარლომ, მერე ისევ შოთას მიუბრუნდა და უთხრა: — ფაბრიკის ახლო აშენებულ სახლებში რომ მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ, ეს რაზმი იმათი შვილებისაგან არის შემდ-



მიმდინარე წელს ჩატარებულ სარაიონო სპარტაკიულადზე პირველმა სკოლებმა ხდლეთ ყველა „მტერი“ და თავის მფლობელები კვლავ ისინი აღმოჩნდნენ.

გარი, მასში სხვადასხვა ეროვნების პიონერები არიან გაერთიანებულნი. რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ კი ჩვენი სკოლელი მანანა კეიდიამ არჩეული.

— გასაგებია, — დარცხვენით სთქვა შოთამ. — მაგრამ მანანას რისთვისღა ექვთ?

— იმიტომ, რომ მანანას რაზმის ინიციატივით დღეს აქ მეგობრობის კოცონი ავიზვიზდება. ნაკრები რაზმის წევრებმა სტუმრად მოიწვიეს ზუგდიდის მეექვსე და ჭითაწყაროს საშუალო სკოლების პიონერები.

...ფაბრიკის ეზოში ვეებერთელა პიონერული კოცონი ავიზვიზდა. გაჩაღდა ცეკვა-თამაში, მხატვრული კითხვის ოსტატები ერთმანეთს ეცილებოდნენ. ყველას მოეწონა ნაწული ჭითანავას გამოსვლა და მაყურებელმა იგი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

— მანანა გამოვიდეს, მანანა! — გაისმა აქეთ-იქიდან და ახმიანდა ტაში. მანანა კეიდიამ არა მარტო სკოლასა და რაზმში გაითქვა საუკეთესო დეკლამატორის სახელი. მისი სახელი მთელმა რაიონმა იცის და ახლა იმიტომ იყო ასე მონდომებით რომ ითხოვდნენ მის გამოსვლას, და მანანამაც ბევრი თავბატიყი როდი გამოიღო; შესანიშნავად წაიკითხა ლაღო ასათიანის ლექსები, განსაკუთრებული გრძნობითა და სიყვარულით წარმოსთქვა მან პოეტის «ჩემი სამშობლო».

მხატვრულ კითხვას გონივრული გართობა-თამაშობანი მოჰყვა. გვიან საღამომდე გიზვიზებდა მეგობრობის დიდი კოცონი, დიდ ხანს ისმოდა ჩონგურის, ფანდურისა და გუნდური სიმღერების სასიამოვნო ხმები.

თ. სახაროვი

ფოტო ავტორისა

სპორტის მოყვარულთა კუთხეს მრავალი ვიმპელი და თახი ამოვენებს.



შორის სხოვანებთან

ქვივის ცენი

შორის ბავშვობიდანვე სიმართლის მოყვარული იყო. 1905 წლის რევოლუციამ 12 წლის ბავშვს ცხოვრების ბევრი რთული მხარე დაანახა და თვალი აუხილა. შორისს მამა, ალექსანდრე, რკინიგზის მემანქანე იყო. მან აუხსნა შეილს, თუ რისთვის იბრძოდნენ რევოლუციონერები. ყველაფერი ნათელი გახდა პატარა კოლიასათვის, როცა მამამ სოციალური უსამართლობა კნენის მილოროდოვიჩის მაგალითზე აუხსნა.

კნენის მილოროდოვიჩის სწოვსკის მამის თითქმის შესამედი ეკუთვნოდა. აბა სახნავ-სათესი, აბა ტყეები, აბა სათევზაოები, აბა ტბები და მდინარეები!.. სულ კნენისას იყო. ხოლო როგორ ცხოვრობდნენ მუშები და გლეხები, ამას კარგად ხედავდა 12 წლის ბიჭი. მაგალითად, მუშები 12—14 საათს მუშაობდნენ. ზოგიერთ გლეხს ცენიც არა ჰყავდა. მემამულეები და მდიდრები კი განცხრობით ცხოვრობდნენ. არ მოსწონდა ეს პატარა შორისს.

ერთხელ შორისების ერთი ნაცნობი ქვივის ცენი კნენისას ყანაში შევიდა და ზიანი მიაყენა. კნენისას მამულში იმ დროს ინგუშები იყვნენ ჩაყენებული, კნენისა რომ დაეცვათ გლეხებისაგან. ქვივის ცენი ხეზე მიაბეს და გამოაცხადეს: პატრონი მოვიდესო. პატრონი კი არ გამოჩნდა, რადგან იცოდნენ გაამართლებდნენ

და საურავსაც გადაახდევინებდნენ. პატარა შორისს შეეცოდა ქვივი ქალი, შეკრიბა ამხანაგები და წინადადება მისცა ცენი გაეტაცებინათ. ითათბირეს, გადაწყვიტეს და შეუდგნენ საქმეს. აი, როგორ:

სალამო ჟამი იყო, როცა ინგუშები ვახშამად დასხდნენ. მათი ცენები კი იქვე ეზოში ძოვდნენ. მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული და ცენები თავლაში დაბმული. შორისმა თავისი რაში საფარ-სათარ მიიყვანა გზის ბოლოში, ერთმა ჭიშკარი გამოაღო, რომ ცენები გამოერეკათ. უცებ ატყდა ყვირილი, კივილი, შოლტების ტაკუნნი. ცენები დაფრთხნენ და გავარდნენ ღია ჭიშკარში. ინგუშები გამოვარდნენ კარში, ხედავენ: მათი ცენები სოფლის გზაზე მიჰქრიან. გამოეკიდნენ დასაჭერად. როდის დაეწეოდნენ ქვეითი ადამიანები გაჭენებულ ცენებს?! ამასობაში შორისმა აუშვა ქვივის ცენი, მოახტა და გავარდა ჭიშკარში. სანამ ალიაქოთი მიწყნარდებოდა, სანამ ინგუშები ცენებს დააბრუნებდნენ, ქვივის ცენზე აბა ვინ იფიქრებდა და ვინ შენიშნავდა მის წაყვანას? ხოლო, როცა შენიშნეს, გვიანდა იყო! არც კნენისამ, არც სხვა ვინმემ სასახლეში არ იცოდა ვისი იყო ცენი.

— შენ კი გაიზარდე, შეილო, რომ ასე ზრუნავ საწყალ ხალხზე და ასე გიყვარს სიმართლე!—მოუწონა მამამ საკციელი შეილს...



გამოეკიდნენ დასაჭერად, როდის დაეწეოდნენ ქვეითი ადამიანები გაჭენებულ ცენებს?

— ყოჩაღ! ყოჩაღ!
ღირსია ჩარიცხვი-
სა!—ერთხმად დაას-
კვნა კომისიამ.



ასე გადაარჩინა პატარა შჩორსმა საწყალი ქვრივი გამათრახებებს და ჯარიმის გადახდას.

შრომა და ხასიათის სიმტკიცე

სნოვსკის დაბის რკინიგზის სკოლის დამთავრების შემდეგ შჩორსმა სწავლის გაგრძელება განიზრახა. მაგრამ მამას საშუალება არა ჰქონდა შეიღო საშუალო სასწავლებელში შეეყვანა. ამიტომ ურჩია შეიღს:

— შეიღო, დეპოში წამოდი! შევირდალ დაგაყენებ! ისწავლი ხელობას და ზეინკალი გახდები. უზრუნველყოფილი იქნები: დღეში ოთხი აბაზი გექნება ხელფასი.

— არა, მამი, მე სწავლა მინდა, — მტკიცედ უპასუხა კოლიამ მამას.

— ჰმ... სწავლა გინდა! — შეიკრა წარბი მამამ. — განა მე არ მინდა გასწავლო? მაგრამ წელი რომ არა მაქვს?.. — შენ კი თოთხმეტი წლისა ხარ. შეგიძლია თვითონ გაუძღვე შენ თავს.

— გავუძღვები კიდევ, ოღონდ შემიწყე ხელი, — შეეხვეწა კოლია მამას. — გავიგე, რომ კიევში არის საფერშლო-სამხედრო სკოლა, სადაც ღარიბთა შვილებს უფასოდ ასწავლიან. წამიყვანე კიევში.

მამას შეეცოდა ნიჭიერი ბავშვი და წაიყვანა შვილი კიევს.

მედიდურად მიიღო სასწავლებლის უფროსმა მემანქანე. სკამიც კი არ მიაწოდა დასაჯდომად. აგდებულად უთხრა:

— ყველა ვაკანსია დაკავებულია...

პატარა შჩორსმა გული არ გაიტეხა. მეორე წელსაც ჩავიდნენ მამა და შვილი კიევს. მეორე წელსაც იგივე უპასუხეს.

პატარა შჩორსმა არც ახლა გაიტეხა გული. მტკიცე ნების პატრონი იყო, არავითარი სიძნელის წინაშე არ მოიხრბოდა ქედს. მესამე წელსაც გამოცხადდებოდა სასწავლებელში, თქვა. მართლაც, მესამე წელს გაიტანა თავისი და დაუშვეს გამოცდებზე.

გამოცდები კი სასტიკი იყო. განსაკუთრებით შჩორსის მიმართ გამოიჩინეს სისასტიკე. აშკარად ცდილობდნენ ჩაჭრას, მაგრამ შჩორსმა ყველა საგანში ხუთიანი მიიღო. განსაკუთრებით ისახელა თავი ლიტერატურისა და რუსული ენის გამოცდაზე. ამ გამოცდაზე თვითონ ინსპექტორი მოხიბლა შჩორსმა.

ჯერ იყო და წერით გამოცდა ხუთზე შეასრულა. ზეპირი გამოცდა თვითონ ინსპექტორმა ჩაატარა. შჩორსი აზრიანსა და ჭკვიან პასუხს იძლეოდა. განსაკუთრებით მოაწონა თავი საგამოცდო კომისიას ლექსის ჩინებული წაკითხვით. მშვენივრად წაკითხა პუშკინის ლექსი „წინასწარმეტყველი“.

— აბა კიდევ რა ლექსს წაგვიკითხავ პუშკინისას? — შეეკითხა ინსპექტორი.

— „ვეგენი ონეგინს“, — უპასუხა შჩორსმა.

— ხა...ხა... ხა... — გაიცინა ინსპექტორმა. — განა ეს ლექსია?

— პოემა, — უპასუხა შჩორსმა. — მაგრამ მე შემძლია თავიდან ბოლომდე ზეპირად წაგიკითხოთ.

— ზეპირად? — გაუკვირდა ინსპექტორს. — აბა დაიწყე!

შჩორსმა დაიწყო. ეტყობოდა, რომ ესმოდა რას კითხულობდა. თან ცდილობდა ლამაზად წაეკითხა. კომისიის წევრები მოხიბლული იყვნენ შჩორსის დეკლამაციით. შჩორსს რამდენჯერმე შეაწყვეტინეს კითხვა. დაუსახელეს პოემის სხვადასხვა ადგილები: აქედან წაკითხეთო. ერთი სიტყვაც არ შესცდენია შჩორსს, ისე კითხულობდა პოემას.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ღირსია ჩარიცხვისა! — ერთხმად დაასკვნა კომისიამ.

— ეგებ კიდევ იცი რამე პოემა? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— ვიცი, — უპასუხა შჩორსმა. — ლერმონტოვის „დემონი“ ვიცი, შეგჩენკოს „ჰაილამაკები“ ვიცი.


— აბა, „ჰაილამაკები“! — უთხრა ინსპექტორმა.

პუშკინის ნაზი ლირიკა შეგჩენკოს მრისხანე სტრიქონებმა შესცვალა. კომისიის წევრები ფეხზე წამოდგნენ, შემოეხვივნენ შჩორსს, მიულოცეს გამარჯვება.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ნიჭიერი ყმაწვილი ხარ! — უთხრეს მას.

ინსპექტორმა კი ასე თქვა:

— მარტო ნიჭი როდი კმარა! საჭიროა შრომა და სიმტკიცე! ეს ყმაწვილი სამჯერ მოვიდა გამოცდაზე. მას რომ არ ეშრომა და ხასიათის სიმტკიცე არ გამოეჩინა, განა მიღწევდა მიზანს?...



— ამხანაგებო, მომყევით! წინ! ვაშა! შესძახა შიორსმა.

შიორსი—წითელი არმიის მეთაური

ერთხელ შიორსი ქალაქ ჩერნიგოვს დაეცა ღამით. ჩერნიგოვი ჰაილამაკების გენერალ ტერეშკოვიჩს ეჭირა.

თეთრების მდგომარეობა უკვე შერყეული იყო უკრაინაში და თავისი ოფიცრების გასამხნეებლად გენერალმა დიდი ბალი გამართა. სამხედრო მუსიკა უკრავდა ვალსს. ოფიცრები და ქალები თავდავიწყებით ცეკვავდნენ. უცბად ატყდა სროლა. ოფიცრები და გენერალი გამოვარდნენ ქუჩაში. ორკესტრმა დრო იშოვა და გაიქცა. მემუსიკეებს მაინც და მაინც არაფრად ეპიტნავებოდათ თეთრი ოფიცრებისათვის მუსიკის დაკვრა. შიორსი შეეჩეხა მემუსიკეებს და გაიფიქრა:

— ამათ რომ „ინტერნაციონალი“ დაუკრან, წითელ-არმიელები გამხნევდებიან, თეთრებს კი შეეშინდებათო.

შიორსმა უბრძანა ორკესტრს „ინტერნაციონალი“ დაეკრათ. ორკესტრმა ბრძანება შეასრულა.

— ყოჩაღ, ბიჭებო!— მოეწონა შიორსს. — ყველას ჩაგრიცხვათ ჩემს პოლკში! არ შეანელოთ დაკვრა!

დილამდე უკრავდა ორკესტრი და აგულიანებდა წითელარმიელებს. დილამდე ებრძოდა შიორსი თეთრებს, დილას ჩერნიგოვი შიორსის ხელში იყო.

შიორსმა ორკესტრი მართლა ჩარიცხა პოლკში. მან იცოდა მუსიკის ძალა და შემდგომ ბრძოლებში ხშირად იყენებდა ორკესტრს ჯარის გასამხნეებლად.

როგორც შიორსის ბიოგრაფიაში, ისე სამოქალაქო ომის ისტორიაში, დიდი ადგილი უჭირავს ქალაქ ბერდიჩევის აღებისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა 9 დღე-ღამე გაგრძელდა. პეტლიურას შიორსზე მეტი ჯარი ჰყავდა. შიორსს ოთხი ქვემეხი ჰქონდა, პეტლიურას— ოცდათორმეტი. ქალაქი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ორივე მხარის გააფთრება იქამდე მივიდა, რომ ერთმანეთს არ ინდობდნენ, ტყვედ არ ნებდებოდნენ...

შიორსი ამ დროს დივიზიის მეთაური იყო და ბრძოლას „მანძილზე ხელმძღვანელობდა“ ე. ი. განკარგულებას იძლეოდა, წინა ხაზზე არ იყო.

მეცხრე დღეს შიორსისათვის მძიმე მდგომარეობა შეექმნა. პეტლიურამ შეძლო თავისი ქვემეხებით შიორსის ფრონტის გარღვევა. წითელარმიელებმა ვერ გაუძ-



საკრებულო

შეიქმნა

მან შემდეგ, რაც 1896 წლიდან ოლიმპიური თამაშები განახლებული იქნა, ეს ღონისძიებები 16-ჯერ ჩატარდა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ორ უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა.

1952 წელს, პელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციაში საქართველოდან შედიოდნენ მძლეოსნები: ნ. დუმბაძე, ლ. სანაძე, ე. გოციელი, ნ. დვალისვილი,

ტანმოვარჯიშე მ. ჯუღელი, მოჭიდავე. დ. ციმაკურიძე, კალათბურთელები: თ. ქორქია და ნ. ჯორჯიკია, ფეხბურთელები: ა. ლოლობერიძე და ა. ჭკუასელი. ძალოსანი: რ. ჩიმიშვიანი, ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა საშუალო წონის მოჭიდავე დავით ციმაკურიძე. პირველ ტურში სადავო დამარცხების შემდეგ მან მოიგო ყველა შეხვედრა და ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის ჩემპიონი

და რეკორდსმენი გახდა თბილისელი ძალოსანი რ. ჩიმიშვიანი. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა და გუნდის ყველა წევრი ოქროს მედალით დაჯილდოვდა, მათ შორის იყო მედეა ჯუღელიც. მძლეოსანი ლევან სანაძე, სამ სხვა სპორტსმენთან ერთად, ესტაფეტაში (100×4) მეორე ადგილის დაკავებისათვის ვერცხლის მედალით დაჯილდოვდა. მესამე ადგილი დაიკავეს: ნინო დუმბაძემ ბადროს ტყორცნაში და ნადეჟდა დვალისვილმა 200 მეტრზე სირბილში. ვერცხლის მედალები მიიღეს აგრეთვე საბჭოთა კალათბურთის გუნდის კაპიტანმა ოთარ ქორქიამ და კალათბურთელმა ნოდარ ჯორჯიკიამ. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდში ითა-

ლეს ოცდათორმეტი ქვემეხის ცეცხლს. მაშინ შჩორსმა გადაწყვიტა წინა ხაზზე გასვლა. მოახტა ცხენს და ჩამოუქროლა ფრონტს. წითელარმიელებმა შჩორსი რომ დაინახეს, გამხნევდნენ, მიბრუნდნენ მტრისკენ.

— ამხანაგებო, მომყევით! წინ! ვაშა! — შესძახა შჩორსმა, ჩამოხტა ცხენიდან და გაექანა მტრის რიგებისაკენ.

წითელარმიელები გაყვნენ შჩორსს. ახლა ყველას სურდა ვაჟაკობა დაემტკიცებინა შჩორსისათვის. და ისეთი ერთსულოვანი, ძლიერი, თავგანწირული იყო ეს შეტევა, რომ მტერი შედრკა, გაიქცა... შჩორსი შეიჭრა ბერდიჩევში.

ამ ცხრადღიან ბრძოლებს თვითონ შჩორსმა უწოდა „ბერდიჩევის კოშმარი“. ეს კოშმარი წითელი არმიის გამარჯვებით დამთავრდა. ეს გამარჯვება შჩორსის პირადმა ვაჟაკობამ და თავგანწირვამ უზრუნველყო.

* * *

შჩორსი მოჰკლეს ბრძოლაში, 1919 წლის 30 აგვისტოს. იმ დღესაც შჩორსი წინა ხაზზე იყო.

— შჩორსი მოჰკლეს! — გავარდა საზარელი ხმა.

შჩორსის სიკვდილი რომ გაიგეს, მებრძოლნი არ დაიბნენ. როგორც ერთი კაცი, ისე წამოდგნენ ყველანი. არავის, არც ერთ მეთაურს არ გაუცია განკარ-

გულება. მიდიოდნენ წინ უსიტყვოდ, უხმაურად ანთავი ბულნი შურისძიებით.

და ისეთი საშინელი იყო ეს შეტევა, რომ მტერი შედრკა და დამარცხდა.

საინტერესოა შჩორსის სიკვდილთან დაკავშირებული ერთი დეტალი. სწორედ ამ დეტალით მინდა დავამთავრო ეს ნარკვევი:

კიევის ახლოს, ქალაქ კლინტში, სამხედრო ჰოსპიტალი იყო გამართული. ამ ჰოსპიტალში შჩორსის დივიზიის დაჭრილი წითელარმიელები იწვნენ. ჰოსპიტალში ცნობა მოვიდა: შჩორსი მოჰკლესო. წითელარმიელებმა არ დაიჯერეს გზირი მეთაურის სიკვდილი. წამოცვიდნენ დაჭრილები, ჩადგნენ მწყობრში და შემოსძახეს შჩორსის დივიზიის საყვარელი სიმღერა:

შავარდენი თუ არწივი
მიფრინავს ასე შორსაო?
არა! ეს თვითონ შჩორსია, —
ჩამოუქროლა ფრონტსაო...

იმ დაჭრილებისათვის შჩორსი დიდხანს იყო ცოცხალი.

შჩორსის სახელი ცოცხალია დღესაც ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს საბჭოთა სამშობლო და ვინც შრომობს და ცოცხლობს დიდი ლენინის იდეებით.



მაშეს: ა. ლოლობერიძემ და ა. ჭკუასელმა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა ბულგარელებთან მოგების შემდეგ, მერვედ ფინალში წააგო შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან და გამოეთიშა ოლიმპიურ ტურნირს.

საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიური მ მედალი მოიპოვეს და შორს ჩამოიტოვეს ისეთი ქვეყნები, როგორც არიან: ირანი, არგენტინა, ბრაზილია, თურქეთი, პოლონეთი, სულ 33 ქვეყანა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა მოჭიდავე არსენა მეკოკიშვილი, ხოლო შალვა ჩიხლაძემ ნახევრადძიმე წონაში მეორე ადგილი დაიკავა. საქართველოში გაზრდილი ეს სპორტსმენები იმხანად მოს-

კოვის გუნდის სახელით გამოდიოდნენ შეჯიბრზე.

XVI ოლიმპიურ თამაშებზე, მელბურნში, მონაწილეობდა: ნ. დგალიშვილი, რომელმაც როგორც ჰელსინკში, აქაც სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა. დიდი წარმატება ხვდათ ჩვენს მოჭიდავეებს: გივი კარტოზია და მირიან ცალქალამანიძე ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ, ვახტანგ ბალავაძე, გიორგი სხირტლაძე და რომან ძნელაძე მესამე ადგილზე გამოვიდნენ. ესტაფეტაში მეორე ადგილის დაკავებისათვის საბჭოთა გუნდის წევრი თბილისელი მოცურავე ბორის ნიკიტინი ვერცხლის მედლით დააჯილდოვეს. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა წყალბურთელთა გუნდის მოთა-

მაშე ნოდარ გვახარია. გარდა ამ სპორტსმენებისა, მელბურნის თამაშებში მონაწილეობდნენ მოფარიკავეები: ბორის ოსიპოვი და რევან ცირეკიძე, რომლებმაც წინასწარ შეხვედრებშივე განიცადეს მარცხი.

ახლა მთელ მსოფლიოში გამაღებელი მზადებაა; რომის XVII ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებიან საქართველოს სპორტსმენებიც. თქვენ რომ ამ ყურნალს მიიღებთ, რომში უკვე გაჩაღებული იქნება უდიდესი სპორტული ასპარეზობა. ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ რა წარმატებები ექნებათ ამჯერად ჩვენს სპორტსმენებს, მაგრამ ერთი ცხადია: ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვნად იქნებიან წარმოდგენილნი საბჭოთა დელეგაციაში.



2. ყ რ მ ო ბ ა

სასულიერო სემინარიის გადაღმა მოტიტვლებულ ხრიოკ ადგილზე ძველად სულ ორიოდე ქობი იდგა. ვაკეს მაშინ არც ქალაქის ნიშანწყალი ჰქონდა და არც სოფლისა. გაუგებარი იყო, ამ ტურებისა და მელიების სათარეშო ადგილზე რატომ დაედო ბინა ორ-სამ მოსახლეს? ვინ უწყის, ცხოვრების ჩარხის ტრიალი „სად წაიყვანს სადაურსა“, ისე, როგორც მიხეილ ჭაბუკიანი, ოთხსართულიანი სახლის პატრონი, ამ ქობამდე მიიყვანა.

გინახავთ თუ არა ჩვენში სოფელი ან ქალაქი გაეშენებინოთ ისე, რომ წყარო ან ჭის წყალი მაინც არ ჰქონდეთ? იქნებ ეგონათ, იქვე მახლოზღად მდებარე სასულიერო სემინარიის მამები ერთმორწმუნეთ წყალს არ დაუჭერდნენ? სემინარიის ხომ სპეციალური მიღებით ხევიდან წყალი ჰქონდა გამოყვანილი. უეჭველია, ასე მსჯელობდნენ აქ დასახლებულნი, რადგანაც მრავალჯერ მოესმინათ ეკლესიის კედლებში ამ მამათა ღაღადი წმინდა მოციქულ იოანეს სახარებიდან: „უკეთუ ვისმე ჰსწყუროდნენ, მოვიდენ ჩემდა და ჰსვემდინ“. სინამდვილეში კი სემინარიის კარი მწყურვალთათვის მაგრად იყო ჩაკეტილი.

ჭაბუკიანების ოჯახის წყლით მომარაგება ვახტანგს დაეკისრა.

მამა გათენებისას სამუშაოდ მიდიოდა. დედა ოჯახებში კერავდა. დილიდანვე დადიოდა შორეულ ოჯახებში სამუშაოდ და საღამომდე ნემსის ხმარებისაგან თითები ჰქონდა დაჩხვლეტილი.

საბურთალოსა და ვაკეს შუა ხევში, იქ, სადაც კეთილ ხალხს ფიცრებისაგან ეგრეთ წოდებული მეორე ვირის ხიდი გაემართა (პირველი ორთაჭალის ბაღებში გახლდათ), პატარა წყარო მოჩუხჩუხებდა. აი ამ წყაროთი სარგებლობდა ჭაბუკიანების ოჯახი. სისხამ დილით ვახტანგი წამოავლებდა ხელს სამხარეს, აქეთ-იქიდან გადაჰკიდებდა ვედროებს და „უკვდავების“ წყლისაკენ გა-



სამუშაო

ძველად ვაკე მოკლებული იყო მიმოსვლის ყოველგვარ საშუალებას. ოღროჩოღრო გზებზე მხოლოდ წყნეთელები და ბაგელები დაიძვებოდნენ ხოლმე ქალაქისაკენ და წინ მიერეკებოდნენ მაწვნითა და ნახშირით დატვირთულ სახედრებს. ვაკის ქობმახებს ისე ჩაუვლიდ-

ემართებოდა. თუ წვიმისაგან გზა ატალახებული არ იყო, წყაროსაკენ გავლა სასიამოვნოც ხდებოდა. ფიზიკური ვარჯიში მომავალ მოციქულისათვის საჭიროც გახლდათ.

მაგრამ, როცა გზა ატალახდებოდა, მისი გადალახვა არც ისე იოლი იყო.

ქალიშვილი

აღ. ბურთიკაშვილი

ნენ ხოლმე მემაწვნიები, რომ არც ერთხელ არ შეჩერდებოდნენ, იცოდნენ, რა მუშტრებიც იყვნენ!

ვახტანგი მუშაობას დილიდანვე იწყებდა. ჯერ სკოლა, შემდეგ შევალის სახელოსნო და მერე პერინის

* გავრძელება. დასაწყისი იხ. «პიონერი» № 6.

სტუდია. ადვილი არ იყო ცისმარე დღეს ვაკიდან ბელისკის ქუჩაზე მისვლა სკოლაში, შემდეგ იქვე ტერგუქასოვის ქუჩაზე და იქიდან გრიბოედოვის ქუჩაზე სიარული. ტრამვაი მხოლოდ ქართულ გიმნაზიამდე მიდიოდა. ეგეც არ იყოს, სად ჰქონდა შაურანიები ვახტანგს, რომ ბილეთი შეეძინა, და აი ყოველდღე უხდებოდა ხუთი-ექვსი კილომეტრის გავლა ლაფში, ოღრო-ჩოროში.

ჯერ ხუთი-ექვსი თვე არც კი იყო გასული, რაც ვახტანგი პერინის სტუდიაში მეცადინეობდა, რომ შევალე თავის სახელოსნოში საცეკვაო დილა მოაწყო. მონაწილენი გახლდნენ შევალის სახელოსნოს შეგირდები — გოგო-ბიჭები. პროგრამაში იყო როგორც სოლო ნომრები, წყვილად ცეკვა, ისე კორდებალეტიც. მთელ თვეს ამეცადინებდა პატარა ბალეტმეისტერი შევალის შეგირდებს. მარიამ შევალე ახლაც სიცილით იგონებს ამ დღეს:

— მე ასეთი სასტიკი და ენერგიული პედაგოგი არ მინახავს, როგორც პატარა ვახტანგი იყო. რეპეტიციებზე ერთ ილეთს ხშირად ათჯერ და ოცჯერ ამეორებინებდა მოწაფეს. ხითაროვის სახლების მეორე სართულის დიდი აივანი კარგი სარეპეტიციო ადგილი იყო. ფანჯრიდან გაისმოდა როიალის ხმები. შუა აივანზე იდგა კურკა ბიჭი და შეგირდებს გულმოდგინედ წვრთნიდა. ბავშვები ისე გაიტაცა ამ მეცადინეობამ, რომ შეკვეთების შესრულებაზე გული აღარ ჰქონდათ.

ერთ კვირა დღეს, დილით, ტერ-გუქასოვის ქუჩაზე № 4 სახლის მეორე სართულის უშველებელი აივანი მთლად ხალხით გაივსო. შევალის შეგირდების კონცერტია. კონცერტზე თავი მოიყარეს შეგირდების მშობლებმა და ამ ქუჩის მცხოვრებლებმა.

ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა როგორც სოლო ნომრებმა, ისე ჯგუფურმა ცეკვებმა. შევალე სიხარულსაგან პირდაპირ ფრინავდა. მისმა პატარა შეგირდმა სახელოსნო ასახელა.

— ვუნდერკინდი, პტი-პეტიპა ვახტანგ! — გაიძახოდა კეთილი პედაგოგი. უხაროდა მარიამ ლეონიდის ასულს, რომ მან პირველმა აღმოაჩინა დიდად ნიჭიერი ყმაწვილი. — როცა სტუმრები დაიშალნენ, მივუახლოვდი ვახტანგს, გულში ჩავიკარი და სიხარულით ავკეითინდიო...

— დეიდა მარი, გამოვა თუ არა ჩემგან მოცეკვავე? დეიდა მარი, განა ტანი ცოტათი არ ავიყარე?..

— გამოხვალ, გამოხვალ, გენაცვა, ჩემო ბზრილა! თუ იმეცადინებ, პირველი იქნები, პირველი! — გაბრწყინებული თვალებით ეუბნებოდა ვახტანგს შევალე.

რომელ ყრმას არ უყვარს სანახაობა, და ვახტანგიც თეატრის დიდი მოტრფიალე გახდა. განსაკუთრებით იზიდავდა ოპერა.

მან უკვე იცოდა, რომ ოპერის თეატრში სიმღერასთან ერთად ცეკვავდნენ კიდევ. ცეკვა კი მისთვის ისევე იყო საჭირო, როგორც გვალვისაგან გადამხმარი მინდვრისათვის მაცოცხლებელი ცის ნამი. მაგრამ როგორ მოახერხოს მიუვალი ზღუდის გადალახვა? თექვსმეტ წლამდე ბავშვებს თეატრში არ უშვებენ. მაგრამ, ვთქვათ, ნება დართეს, მერე ბილეთი? რა თანხით შეიძინოს?!

მოსაზრა: მეგობრებისაგან შეიტყო, რომ ზაქარია

ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“ სცენაზე პატარა გოგო-ბიჭებიც გამოჰყავთ. სპექტაკლის მონაწილენი კი თეატრში უკანა კარიდან შედიან. დაგეგმა. დაუღალა პატარა მსახიობებს, შეერია მათში და ისე სწრაფად შესრიალდა თეატრში, რომ დარაჯმა ვერც კი შენიშნა. ზოგჯერ ქალაქში აგურებს გამოხვევდა, ვითომ ტანსაცმელი მიჰქონდა თეატრში და ისე შეიპარებოდა ხოლმე. გაიცნეს და რამდენჯერმე „აბესალომ და ეთერშიც“ გამოიყვანეს. როლი არასოდეს არ „გაუფუჭებია“ — დიდის ზეიმით შემოჰქონდა სცენაზე ანთებული შანდალი და მიჩნეულ ადგილზე დგებოდა.

ერთხელ როგორღაც ისე წარიმართა პატარა მსახიობის საქმე, რომ გოგონას ტანსაცმელი ჩააცვეს. იწყინა, მაგრამ რას იზამდა, მოქმედებას ხომ არ „ჩაშლიდა“. უმძიმს სცენაზე გასვლა, იცის, რომ დღეს „აბესალომ და ეთერში“ მისი და თამარი ცეკვავს, რომ შეამჩნიოს თამარმა, ისიც გოგონას ტანსაცმელში, რაღა ქნას?

დიდი ხანი არ არის, რაც თამარმა დაამთავრა პერინის სტუდია და ბალეტის მსახიობი გახდა. სცენაზე გამოსვლისთანავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მის ყოველ გამოსვლას მქუხარე ტაშით ეგებებიან.

ვახტანგის გატაცება მარტო თეატრით არ ამოიწურებოდა. ისე შეუყვარდა კინო, რომ მზად იყო ერთი და იგივე სურათი რამდენჯერმე ენახა. ჰარი პილი მისი სათაყვანებელი გმირი იყო. ნაკლებად არც ჰპაროდოდა ლოილი უყვარდა. დუგლას ფერბენკსის აკრობატიკითაც გატაცებული გახლდათ. ეს ყოველივე კარგი, მაგრამ, თუ ოპერის თეატრში დარაჯს თვალს აუხვევს და გაზეთში გამოხვეულ აგურებს გარდერობად მოაჩვენებს, კინოში რა ქნას? საუზმისათვის განკუთვნილ გროშებს გროშებზე ადებდა და კვირაში ერთხელ კინოში მიდიოდა, ერთხელ ჰარი პილის მონაწილეობით სურათის ნახვა ისე მოენატრა, რომ სახლიდან თავისი ხალათი წაიღო, გაიტანა და გაყიდა. ყრმას ტყუილის თქმა არ შეეძლო, არც რაიმეს დაფარვა ეხერხებოდა, — იმავე ღამეს დედას „დანაშაულში“ გამოუტყდა და თავისი კომერციის ამბავი მოახსენა.

ზაფხულობით ვახტანგის ზოგიერთი ამხანაგი სოფელს მიაშურებდა ხოლმე.

პაპანაქება სიციხეში თბილისში ყოფნა მაინც და მაინც სახარბიელო არ არის. არც ვახტანგია გულხელდაკრეფილი. სიციხის საწინააღმდეგო საშუალება მასაც აქვს. აბა, ამ დროს მტკვარში ბანაობას რა სჯობს, ვახტანგი კი როგორც მობანავე, სახელმძღვანელოა.

ვახტანგ ჭაბუკიანის ორი და გათხოვდა. ამ გარემოებამ სრულიადაც არ შეცვალა ჭაბუკიანების მდგომარეობა. მიხეილი დაავადმყოფდა და ძველებურად ვეღარ მუშაობს. რა ქნას ვახტანგმა, ჯერ კიდევ პატარაა, როგორ ამოუდგეს გვერდში მშობლებს და მძიმე ტვირთი შეუმსუბუქოს!..

შევალის სახელოსნოში დადგმული ცეკვების წარმატებამ ვახტანგი წაახალისა და უფრო ფართო გეგმები დაუსახა. პერინის სტუდიელებისაგან შეადგინა მოცეკვავეთა ჯგუფი და მზადებას შეუდგა. ჭაბუკი მეტისმეტად მომთხოვნი და სასტიკი ბალეტმეისტერი გამოდგა. უშრეტო ენერჯიაც აღმოაჩინდა. მოამზადა სხვადასხვა ბალეტებიდან ფრაგმენტები და საცეკვაო ნომრები. პროგრამაში იყო ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, რომანოვსკის „ტყის ფერიები“, „დღესასწაული სევილიაში“ და საბალეტო ნომრები. საკვირველი ის იყო, რომ არც ერთ-

თი ამ ბალეტოვანი მას სცენაზე არ ენახა. მხოლოდ პერინის სტუდიაში გაკვეთილებისას ჰქონდა ფრაგმენტები ნახული. დაიხსომა ეს ცეკვები და თავისებურად გადაამუშავა. მხოლოდ იშოვნა ყველა ამ ნომრის ნოტები. პროგრამა მზად არის. კირკის (ამჟამად მარჯანიშვილის) ტუჩაზე მდებარე საკრებულოს ბალის დირექციას



საკონცერტო ნომერი.

შეუთანხმდნენ და ამ საბალეტო ჯგუფის პირველი გამოსვლა გადაწყდა. ქუჩებზე გაკრული აფიშები ამცნობდნენ: დანიშნულია საბალეტო ცეკვები ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. მონაწილეობას იღებდნენ ელენე ჩიკვაძე, ლილი გვარამაძე, თვითონ ვახტანგ ჭაბუკიანი და სხვები. ზაფხულობით ამ საკრებულოს ბალს ყოველთვის დიდძალი ხალხი ეტანებოდა. იმ საღამოს, როცა ვახტანგ ჭაბუკიანის მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა იყო, მთელი ბალი გაჭედვით აღმოჩნდა ხალხით. მონაწილეთა ნაცნობ-ნათესავებს და მშობლებსაც მოეყარა თავი. ყოველი ნომერი ხალხის დიდ აღტაცებას

იწვევდა, მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ მონაწილეთა ცეკვის მონაწილეთა მახლობლებს თაიგულებიც დაემზადებინათ პატარა არტისტებისათვის.

სასიამოვნო და მოსაწონი იყო ვახტანგის პირველი კონცერტი. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ კლუბის მამასახლისთა საბჭომ კვლავაც თხოვა ვახტანგს გაემართა ასეთი საცეკვაო საღამოები. საკრებულოდან არტოს კლუბის დირექციამ მიიწვია ვახტანგის მოცეკვავეთა ჯგუფი, იქიდან ხარფუხის კლუბმა... და ასე წარმატებით გამოდიოდნენ ახალგაზრდა მოცეკვავენი თბილისის კლუბებსა და საზაფხულო ბალებში.

ჰონორარს მარკების მიხედვით ინაწილებდნენ და ამიტომ ყველაზე მეტი გასამრჯელო ვახტანგს ეძლეოდა. მიღებული ჰონორარი საშუალებას აძლევდა ოჯახს დახმარებოდა.

პერინი, რომელიც ახალგაზრდობისას თვითონ განთქმული მოცეკვავე იყო, მეტად კენერგიული მასწავლებელი გამოდგა. ის აღტურვილი იყო პედაგოგისათვის საჭირო ყველა თვისებით, უყვარდა თავისი საქმე. ბევრს უფასოდ ასწავლიდა, მაგალითად, ვახტანგ ჭაბუკიანს. გამოცდილმა თვალმა მაშინვე დაანახვა, რომ ამ პატარა ბიჭის სახით მის სტუდიას ისეთი განძი შეემატა, რომელიც თვითონაც ისახელებს თავს და მასწავლებელსაც ასახელებს.

მაგრამ პერინის სტუდია საკმარისი იყო თუ არა დაოსტატებისათვის?

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. დაიწყო ქვეყნის განახლება. ეროვნულ ოპერებს ფართო გასაქანი მიეცა. მომღერლებით ქართული ოპერები თითქმის უზრუნველყოფილია. ჩვენი კონსერვატორია ყოველ წელიწადს საკმაო კადრებს ამზადებს. რაც შეეხება ქართულ ბალეტს; იგი თითქმის არ არსებობდა.

აღმოცენების სტადიაში მყოფი ქართული ბალეტი საჭიროებდა ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას და უფრო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. პერინის სტუდიას ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეეძლო.

პერინის სტუდიაში მეცადინეობის პერიოდში ვახტანგ ჭაბუკიანი პრაქტიკის მისაღებად ჩაირიცხა სტაჟიორად ოპერის თეატრში. 1924—25 წლის სეზონში ვახტანგს ოპერის დირექციამ თვეში ხელფასი—30 მანეთი დაუნიშნა. სტაჟიორის ცეკვა საყოველთაო აღტაცებას იწვევდა, ამის დასადასტურებლად მოგიყვანთ გამოჩენილი დირიჟორის სამუილ სტოლერმანის მოგონებებიდან ერთ ადგილს:

„ჩემთვის მეტად ძვირფასია თბილისის ოპერის თეატრში გატარებული წლები—ღრმად ჩამრჩა მენსიერებაში თეატრის შემოქმედებითი საამქროების მუშაობა და მათ შორის ბალეტის კოლექტივი, რომელიც მუდამ თავის სიმალლეზე იდგა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ხოლო ამჟამად არაჩვეულებრივ სიმალლეს მიაღწია ერთ-ერთი შესანიშნავი პედაგოგისა და დამდგმელ-რეჟისორის, უბაღლო ოსტატის ვახტანგ

ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. აი, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საბალეტო ხელოვნების ეს უნიკალური მსახიობი თავის მშობლიურ ქალაქს ემსახურება. სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი ჭაბუკიანი „ქეთო და კოტეში“ ცეკვავდა“.

ვისაც კი თვალი უჭრიდა, ვისაც კი ოდნავი გემოვნება ჰქონდა და ცეკვაში ერკვეოდა, ის მაშინვე შეატყობდა, რომ საქართველოს საამაყო მოცეკვავე ეზრდებოდა. მქუხარე ტაში, ოვაციები, ვაშა და ხოტბა ხანდაზმულთაც თავბრუს ახვევს ხოლმე. ვახტანგს ეს არ დაემართა. ვახტანგი მიღწეულით არ არის კმაყოფილი და გრძნობს, რომ დაოსტატებისათვის არ კმარა პერინის სტუდიაში მიღებული ცოდნა. საჭიროა საბალეტო ხელოვნების ღრმად დაუფლება, დიდ ოსტატებთან მეცადინეობა, თბილისის ოპერის თეატრი კი ასეთ ძალებს მოკლებულია.

ჭაბუკის საყვარელი მწერლები: ჟიულ ვერნი, მაინ რიდი, კონან-დოილი დავიწყებას მიეცნენ, ის მხოლოდ ისეთ ლიტერატურას ეტანება, სადაც რაიმე სწერია ბალეტზე. რაც კი წიგნი და ჟურნალი მოიძებნებოდა ბალეტის შესახებ ჩვენს დედაქალაქში, ვახტანგმა ყველა გადაიკითხა. მისთვის ცხადი გახდა რუსული ბალეტის პირველობა მთელ მსოფლიოში და ძველთაგანვე ამ საქმეში პეტერბურგის უდიდესი როლი.

„ლენინგრადი!“—აი ყრმის ოცნება! მხოლოდ ლენინგრადზე ფიქრობს ჭაბუკი. ნუთუ ვერ შეძლებს ოცნება სინამდვილედ აქციოს?

საოპერო თეატრის მესვეურები კარგად გრძნობენ, რომ ნიჭიერი მოცეკვავე თუ თვითონ არ გაფრინდა თავისი ბუდიდან, სულ ერთია, მას მოსტაცებენ ჩვენს თეატრს. ამიტომ ცდილობენ ყველა პირობა შეუქმნან 15—16 წლის ჭაბუკს, რომ თბილისის ოპერის თეატრში დამკვიდრდეს, ოცნებას თავი დაანებოს და რეალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. დირექცია განიზრახავს ხელფასი მოუმატოს და ამით ჭაბუკს მატერიალური მდგომარეობა შეუმსუბუქოს.

იცის ჭაბუკმა, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მალე სამოც მანეთს კიდევ სამოცი მიემატება, მაგრამ ეს მას არ ამშვიდებს და ოცნებაზე ხელს არ ალებინებს. ეს ოცნება უფრო მწვავე შეიქმნა, როდესაც იხილა თბილისის ოპერის სცენაზე ლენინგრადელი გასტროლიორები: ლიუკომი და შავროვი. ბალეტის ამ გამოჩენილმა ოსტატებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს ყრმაზე.

— აი, ვის უნდა გაუუტოლდე, აი, ვის!—უტრიალებს თავში ვახტანგს. მშობლებს გაუმაილა თავისი განზრახვა, ეწყინათ, დაღონდნენ.

„გაი თუ ლენინგრადის სუსხიანი ზამთარი ვერ აიტანოს ვახტანგმა“, — ფიქრობს დედა.

— მერე და რით უნდა ირჩინოს თავი ლენინგრადში? — ბჭობს დაავადმყოფებული მიხეილი, რომელსაც მკლავი აღარ ერჩის. ის ვერაფრით დაეხმარება შვილს.

ოჯახიდან მხოლოდ თამარია მომხრე ვახტანგის ლენინგრადში წასვლაზე. თვითონ საუცხოო მოცეკვავე გრძნობს, რომ მისი ძმა ლენინგრადში დაოსტატდება და ჭაბუკიანების გვარს ასახელებს.

გაი და ვიში დასრულდა, ბჭობა დამთავრდა. გადაწყვეტილია, ვახტანგი უნდა გაემგზავროს. მაგრამ რა სახსრებით?—აი ყველაზე მტკივნეული საკითხი. ყრმა საქმის თადარიგს შეუდგა.


...შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს ჭაბუკმა საერთო მაგარი ვაგონის ბარგის დასალაგებელი ზედა თარო დაიკავა და ლენინგრადს გაემგზავრა.

(დასასრული)

ვახტანგ ჭაბუკიანი
ოტელოს როლში.



უფრო გაფორმდით



მედიკალი
ბიზნესი

ჩვენ წინაა მოგონებების პატარა ფურცლები, ფეხ-ბურთის ოსტატის ხელით დაწერილი სტრიქონები. მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს ამ სტრიქონებიდან, თუ როგორ აიდგა ფეხი მოედანზე ავთანდილ ლოლობერიძემ, როგორ გამოვიდა იგი დიდი ფეხბურთის ფართო სარბიელზე. გრძელი და საინტერესო სპორტული გზის სათავეებს შავი ზღვის სანაპიროსაკენ, ქალაქ სოხუმში მივყავართ.

*

ჭინჭის ბურთი ბევრმა არც კი იცის, რა იოლად კეთდება იგი. ავთანდილმა საკუთარ ხერხს მიაგნო: წინდის ყელს ჩვრებით გაბურავს, თავ-ბოლოს ამოუკერავს და «ბურთი» მზად არის. ამას ხანდახან ახალი წინდაც შეეწირება ხოლმე და უჯავრდებიან შინ. მაგრამ ეს კიდეც არაფერი, რომ შინაურები სავსეა არ ხედავდნენ—ბიჭები საათობით გადაიკარგებიან ხოლმე, სალამოს კი არაქათგამოლეულნი, გაოფლილნი მოიპარებიან სახლებისაკენ. დედის განაჩენი მკაცრია: რის მაქნისია მოედანზე ტყუილბურალოდ სირბილი! გაკვეთილების მოსამზადებელი დრო უქმად მიდის, ესეც არ იყოს, მალე ალბათ წინდებსაც გაგვხდის ფეხზეო. ბურთაობა იკრძალება ერთხმად.

ბევრი ვერ ამჩნევს, რომ პატარები თამაშის შემდეგ გაკვეთილების მომზადებასაც უფრო უდებენ გულს, კლასშიც იკლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა. ამხანაგების ერთი ჯგუფი გუნდად შეიკრა, ახლა აღარავის სცალია საცულოდ, ქუჩაში უმიზნოდ სახეტიალოდ...

ჯავრობენ უფროსები, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს წინააღმდეგობა ავთანდილს და მის ამხანაგებს აღარ შეუძლიათ ზურგი აქციონ ბურთს, თუ თამაში აშკარად არ შეიძლება. და, იყოს ფარულად. გადაწყვეტილება აქაც ერთხმად საბოლოოა.

პატარა ავთანდილს უკვე თავისი გუნდი ჰყავს, ქუჩა-ქუჩას ეჯიბრება, უბანი-უბანს გუნდი ხშირად გამარჯვებული ტოვებს მოედანს და პატარები დაღლას ვერ გრძობენ, შინსკენ მიუხარიათ.

დრო კი მიდის. შორს დარჩენილა ფეხბურთზე ყურმოკრული ლაპარაკის პერიოდი, ათასფრად შელამაზებულ ამბებს რომ მოგიყვებოდნენ, თუ როგორ ამტვრევს თავ-დამსხმელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს, ან კარის ერთ კუთხეში მდგარი მეკარე როგორ იღებს «მკვდარ» ბურთს მეორე კუთხეში. განვლო ფეხბურთის «ციებ-ცხელების» პირველმა საფეხურმა. ახლა ნამდვილი თამაში უნდათ იხილონ. შორს არც «დინამოს» სტადიონია, იქ კი ბევრი ცნობილი სპორტსმენია, შორს რომ გაუთქვეს სახელი სოხუმის, მოსკოვის, თბილისის უძლიერეს გუნდებს... და ქალაქის განაპირა ქუჩიდან ბიჭები სტადიონისაკენ მიეშურებიან. ვარჯიშობენ და თამაშობენ სოხუმელები: ძმები არჩაიები, მიხეილ თურქია, მოსკოველი სტაროსტინები... პატარებსაც საღერღელი ეშლებათ, თვითონაც სურთ მინდორზე განავარდება, მაგრამ ჯერ კი-

დეც ადრეა, დიდი სტადიონი მათთვის არ იცლის და «ბასა» კვლავ თავიანთი მოედნისკენ მიუძღვება მეგობრებს.

გავიდა დრო. ბავშვები საკმაოდ წამოიზარდნენ. პატარა ქალაქის სპორტის მესვეურებს შეუმჩნეველი არ დარჩათ 13 წლის კაპიტანი და სპორტული სკოლის მორიგი შევსებისას პირველი არჩევანი ავთანდილ ლოლობერიძეზე შეჩერდა. აუსრულდა დიდი ხნის ნანატრი. ავთანდილი ნამდვილ ფორმაში გამოეწყო, ოლონდ ესაა, ბუცებზე დიდი გასაჭირია და ნორჩ სპორტსმენებს უბრალო ჩუსტები აკმარეს. სხვა გამოსავალი არ არის, — დოლბანდით მაგრად იკრავენ ფეხსაცმელს და მწვანე მინდორზე დასდევენ ბურთს. ეს უკვე ნამდვილი ვარჯიშია. მიწრთნელი ინდივიდუალურად ავარჯიშებს თითოეულს: საჭიროა ბურთის ოსტატურად გაჩერება, კარში ზუსტი და ძლიერი დარტყმა, რაც მთავარია, ბურთით თავისუფალ და მოხერხებულ მოძრაობაში დაოსტატება. დღის წესრიგში ტაქტიკის პირველი გაკვეთილები...

თუ როგორ აბარებს გამოცდებს ავთანდილი, იქიდანაც ჩანს, რომ იგი მალე სპორტული სკოლის გუნდის კაპიტნად აირჩიეს. უახლოეს ხანში კი ბაქოელ თანატოლებთან არის დანიშნული პირველი მატჩი. უკანასკნელი სამზადისი, აღმზრდელის დარიგება, და ავთანდილს გუნდი მოედანზე გამოჰყავს. 2:0, პირველი სერიოზული გამარჯვება, პირველი დიდი სიხარული.

ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში იხვეწება ტექნიკა, მაღლდება ოსტატობა. ავთანდილი თვალს ადევნებს გამოჩენილ საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშს: ყველაზე სამახსოვრო ამბად რჩება 1938 წლის შემოდგომა. მოსკოვში იმყოფება სოხუმის სპორტსკოლის გუნდი. აქვე, «დინამოს» სტადიონზე, სსრ კავშირის თასზე თბილისის «დინამო» ხვდება ლენინგრადის «სტალინეცს». 90 წუთის მანძილზე არ შეწყვეტილა თბილისელთა იერიშები და ამ შეტევების სული და გული ბორის პაიჭაძე იყო, რომელმაც მეტოქის კარში ორი ბურთი გაიტანა. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ლოლობერიძემ ამ დღეს პირველად იხილა მოედანზე ბორის პაიჭაძე—დრიბლინგის დიდი ოსტატი, და სამუდამოდ ჩარჩა მესხიერებაში პირველი «გაცნობა». ორმხრივი გაცნობა კი რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა, როდესაც ავთანდილი უკვე თბილისის «დინამოში» მიიღეს.

სამამულო ომი. ვაჟკაცები სამშობლოს დასაცავად აღიმართნენ. ავთანდილ ლოღობერიძე ქართულ დივიზიაში მსახურობს სამხედრო რადიოსადგურის უფროსად. ამ დივიზიამ სასახლოდ მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, შემოსულ მტერს მკერდით გადაუღობა გზა კავკასიონის მთებისაკენ.

ომმა გამოაწრთო სპორტსმენი, კოლექტივისადმი თავდადების საგულისხმო გაკვეთილი მისცა. წინ ახალი დიდი საქმე ელოდა, — საბრძოლო ნათლობა საბჭოთა კავშირში უკვე სახელგანთქმულ თბილისის «დინამოს» კოლექტივში.

შემდეგი გზა უფრო რთულია, აღსაყვებელი შემოქმედებითი ძიებით, დროებითი წარუმატებლობით და ბრწყინვალე გამარჯვებებით. ავთანდილ ლოღობერიძე — თბილისის «დინამოს» კაპიტანი, წამყვანი მართამაშე; ავთანდილ ლოღობერიძე — სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ათობით საერთაშორისო მატჩების მონაწილე; მისი უაღრესად დახვეწილი, მაღალტექნიკური თამაშით მონიბნული მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და სტალინოს, პარიზისა და ვენის, ბუქარესტისა და ვარშავის, პეკინისა და თიერანის სტადიონები...

და ყველა ამას ლოღობერიძე ბავშვობის, ჭაბუკობის ხანასაც უმადლის, ხანას, რომელმაც სამუდამოდ შეაყვარა ბურთი. თუმცა, ჯობს სიტყვა თვით ავთანდილ ლოღობერიძეს მივცეთ:

«ჩემი ბავშვობის გახსენებამ, შესაძლოა, ბევრი ვერაფერი სასარგებლო უთხრას ახლანდელ მოზარდ თაობას. ჭინჭის ბურთს კარგა ხანია აღარ ხმარობენ. მშობლების მხრივაც იმდენ დაბრკოლებას როდი ხვდებიან ახლა ფეხბურთის ნორჩი მოყვარულები. მათ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სტადიონები, მათ თავს დასტრიალებენ მწვრთნელები, მაგრამ ერთი საგულისხმო მაინც მინდა შენიშნონ ჩემმა პატარა მეგობრებმა: ჩვენ გვიყვარდა ფეხბურთი მთელი არსებით და ვთამაშობდით წმინდა სპორტული ჭინის მოსაკლავად. არასდროს გვიფიქრია სახელზე, — იგი დიდი შრომის შემდეგ თავისთავად მოვიდა. ბურთით ნამდვილი გატაცება არ შეიძლება ჩაიკეტოს ტაიმებში, რაიმე განსაზღვრულ დროში. ბურთის თამაში შეიძლება ყველგან და ყოველთვის, თუმცა, რასაკვირველია, სასურველი არ არის გადაღლა. ნურც დიდი სტადიონები მოგნიბლავთ მაინც და მაინც. წამოიზრდებით და დიდი მოედნებიც თქვენი იქნება! მანამდე კი სჯობს პატარა მინდორზე ითამაშოთ, — უფრო «ახლოს» იქნებით ბურთთან. თამაშის ტექნიკასაც ხომ აქედან ეყრება საფუძველი. როგორც დაწყებით კლასებში გამოუმუშავებული წერის მანერა მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება მოსწავლეს, ასევეა ტექნიკური მომზადებისათვის ბავშვობის ასაკი. ის, რასაც ახლა შეისისხლხორცებთ, სამუდამოდ თქვენი კუთვნილება იქნება. სამწუხაროდ, ამ წესს ზოგჯერ ცუდი ჩვეულებაც მოსდევს, მაგალითად, ბურთის ზედმეტი ტარების ჩვეულება. ზოგიერთი ამხანაგის ასეთმა ნაკლმა დასაბამი ბავშვობიდან აიღო. საგულისხმოა ისიც, რომ ტექნიკის ათვისება 15—17 წლის შემდეგ უკვე დაგვიანებულია და როგორც კარგი მონაცემებისაც არ უნდა იყოს სპორტსმენი, ამ ასაკში ვეღარ აი-

ნაზლაურებს ტექნიკურ დანაკლისს. დასასრულს, ფეხბურთს ჩვენთვის ხელი არ შეუშლია სწავლაში, საზოგადოებრივ მუშაობაში, და თქვენც გმართებთ კიდეც და კიდეც დაუმტკიცოთ ეს აღმზრდელებსა და მშობლებს!

— «ბასა», მომეცი ბურთი! — წამდაუწურა გაისმის ფეხბურთის მოედანზე ახალგაზრდა დინამოელთა ჩუმი, დაძაბული შეძახილები. კაპიტანისათვის უცხო როდია ეს სიტყვები. ბურთს ითხოვდნენ მისგან მეთხედი საუკუნის წინ სოხუმელი თანატოლები, პატარა ავთანდილთან ერთად თავდავიწყებით რომ დარბოდნენ მინდორში, შემდეგ, დიდი ფეხბურთის ასპარეზზე, თვით ქართული ფეხბურთის სიამაყე ბორის პაიჭაძეც.

და ასე გრძელდება ახლაც. იცვლება მხოლოდ მხარში მდგომთა გვარები, ბოლოს, მთელი თაობაც. ავთანდილ ლოღობერიძე კი კვლავ მხნედ დგას და ბურთს აწოდებს მეტოქეთა კარზე საიერიშოდ ელვასავით სწრაფ გარემარბს მიხეილ მესხს, ულამაზესი ფინტით უკან რომ მოიტოვებს თავგზააზნეულ მცველს, «პაერის მეფეს» ზაურ კალოევს, «ცბიერ» ვლადიმერ ბარქაიას, «ყუმბარმშენ» თენგიზ მელაშვილს, — ყველას, ვისაც გული მეტოქის კარისაკენ მიუწევს. ზოგჯერ თვითონაც გადინადირებს, ბადის მაღალი კუთხისაკენ მოხდენილად ტყორცნის ბურთს. მას ხომ მარტო საკავშირო ჩემპიონატებში მიმდინარე სეზონამდე ასოცდაერთი ბურთი აქვს გატანილი. ვინ იცის, კიდეც სადამდე გაზრდის ამ ცოფრს ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი, ჩვენი «ბასა».

მ. ორბელიძე



მატი დამთავრდა. გამარჯვებული გუნდის კაპიტანს პირველად შვილი ეგებება მოხალეობად.



წინსვლა თანდათან გაჭირდა,
 უცებ შეტოვდა: — მიშველენა
 შესძახა როგორც დამცველი
 მაგრამ მშველელი არვინ ჩანს,
 მხოლოდ მძვინვარებს ენგური
 და ქვევით ნახერგ ნაპირებს
 ასკდება გაჯავრებული.

* * *

წვიმს. მთიდან მთაზე დაგელავს
 ელვის ელვარე მახვილი,
 ქედებზე მოიზღაზნება
 ლევა ღრუბლების ნახირი.
 მეხის ზათქსა და გრიალზე
 თითქმის ქედებიც იძვრიან,
 მთისკენ მიმავალ შარავზას
 მიჰყვება ფარნა ბიძია.
 თითქმის მსოფლიომოვლილი
 ვერარა ძალამ დაღალა,
 თმებში ადრეულ თოვლივით
 შემოჰპარვია ჭაღარა.
 სამშობლოსათვის გარჯილი
 დუშმანს მუსრავდა ბერლინთან,
 ვერ აღწევრ მის ვაჟკაცობას,
 რაც რომ არ უნდა ბევრი ვთქვა.
 რომდან ძლევა მოსილად
 დაბრუნებული სარქალი
 ახლა მთაშია, არტელის
 ჯოგს და ცხვრის ფარას დაჰხარის.
 დადის, დაკარგულ ლურჯა ცხენს
 დაეძებს სისხამ დილიდან.
 სად არ იარა, სად არა,
 ვინ იცის, სად არ მივიდა.
 ბოლოს იპოვა ენგურთან,
 ხევისპირ იწვა არწივა,
 თითქოს ავდარზე გამწყრალი,
 ფრუტუნით გამობდა ქარწვიმას.
 სიამით გულგანახარი
 ვაჟკაცი პირმომცინარე
 მოახტა ცხენს და ჭენებით
 აღმა აუყვა მდინარეს.

* * *

ქარწვიმა მაინც არ ცხრება,
 კლდეებს ასკდება გოდებით.
 ბინდში ინთქება თანდათან
 მწვანით მოსილი კორდები.
 გზისპირ ჭარმაგი ჭადრები
 თითქმის მიწამდე დახრილან,
 ანაზლად სივრცე გააპო

ნახ. ზ. ლეუავასი

განსულ ნიჰაბაძე

კ მ ე მ ა

იერაჯისფერი ქედები,
 თითქმის ცათამდე მისულნი,
 თავს დასცქერიან ხეობას
 სიღინჯით დარბაისლურით.
 შეფოფინებენ ალგები
 მთებს, ყვავილებით მოფენილს;
 მთებიდან ხელისგულივით
 მოჩანს ქართული სოფელი.
 შორით ელვარებს შავი ზღვა,
 ცასავით დაუსაბამო,
 მისი ზვირთების ფერია
 კოლხეთის ყველა საღამო.
 ჰა, მზემაც სხივთა მარაო
 მთებში დაკეცა დარცხენით,
 ენგურის გაღმა-გამოღმა
 აშარიშურდნენ ცაცხვები.
 სიამით შეაჟრიალათ
 ჭალისპირ ტყეებს წიწვიანს.
 ცად მოწრიალე ღრუბელმა
 ბარამდე ჩამოიწია.
 შორით ბინდბუნდში ლიცლიცებს
 ძაფივით თეთრი გზაწვრილი;
 მთისკენ მიმავალ შარავზას
 მიჰყვება ერთი ყმაწვილი.
 მხრებზე კილია პატარას
 მამისეული ზურგჩანთა.
 ქერა ქოჩორი წარბებთან
 ჩამოსცვენია ურჩადა.
 ყოჩალი, წარბშეუხრელი,
 როგორც ყოველთვის, მხნედ არის,
 ბავშვია, მაგრამ ის უკვე
 გახლავთ განთქმული მხედარი.

წელს ისე, როგორც შარშანაც,
 პირველმა გასჭრა ფინიში;
 განა მარტო აქ? ამ ყმაწვილს
 კარგად იცნობენ თბილისშიც.
 ახლა მთაშია, მწყემსებთან,
 არტელის ცხენი „არწივა“,
 რომლითაც მხედრის სახელი
 ქვეყნად გაითქვა ყმაწვილმა.
 ნახვა მოუნდა...
 იქ მიდის,
 ღიმიტ გასცქერის სიმიანდებს,
 სურს მეჯოგეთა კარავში
 დაბინდებამდე მივიდეს.
 უეცრად მეხმა ზედიზედ
 დაიგრილა საზარლად
 და ყველაფერი გარშემო
 შესძრა და შეაზანზარა.
 რისხვით აზვადნენ ღრუბლები,
 აქამდე მთებზე ნაფენი,
 სახელდახელოდ დაჰკიდეს
 წვიმის უწყვეტი ძაფები.
 დგას ბავშვი, რა ქნას არ იცის,
 დაბრუნდეს? არის გვიანი,
 მის წინ ვეება მდინარეს
 გააქვს ლოდებზე გრიალი.
 უზარმაზარი ტალღები
 მორახრახებენ გულლიად,
 მოდიდებულა ენგური
 და ხიდი თან წაუღია.
 ჰა, მეხმაც განმეორებით
 დაიღრიალა მხეცურად,
 ზეცას ახედა ბავშვმა და
 უშიშრად წყალში შესკურა.
 უკვე წელამდე წყალშია,

ბავშვის განწირულ ძახილმა.
ვაუკაცმა მზერა ნათელი
გარშემო მიმოატარა,
აბობოქრებულ მდინარეს
მოჰქონდა ბიჭი პატარა.
სწრაფად გადმოხტა, ქურანი
დასტოვა წყლისპირ ჩინართან
და ელვის უმაღლეს მღვდლად
ტალღებში გაუჩინარდა.

* * *



მოდის, მობორგავს ენგური,
გულამღერეული, მრისხანე;
ცად აზიდული ქედები
მხრებზე სქელ ღრუბლებს ისხამენ.
მკრთალი ცა შემოდგომისა
დასცქერის ხეგებს ბინდიანს,
წვიმს, ელვასავით დაკლაქნილ
გზაზე მგზავრები მიდიან.
ცხენზე ზის ბიჭი მურმანი,
ხოლო ვაუკაცი დაღლილი
ულაყს ქვეითად მიჰყვება,
ხელში უჭირავს ალვირი.
— ფარნა ბიძია, რას იტყვი,
ერთი შეხედე არწივას,
ისე საბრალოდ კანკალებს,
მართლა ხომ არ შეაცივა?
გუმანდაკრული მეჯოგე
ცხენთან ახლოს რომ მივიდა,
შენიშნა, ქურანს დროდადრო
ქაფი სდიოდა პირიდან.
— კოლხურა თუ აქვს ნაჭამი!
აი, სადარდო ეგ არის.
— ძია, რა არის კოლხურა?
— ყვავილი არის ერთგვარი.
ხანდახან სათოვლიასაც
უწოდებს ხალხი ამ ყვავილს,
შემოდგომაზე ამოდის,
ამ დრომდე არსად არ ჰყვავის.
თვალი შეჰყურებს სიამით
მთების კალთებზე გაშლილებს,
მაგრამ თუ ჭამა ცხოველმა,
მოიწამლება მაშინვე.
ამ სიტყვის გაგონებაზე
წამოიკენესა ყმაწვილმა:
— მაშ საქმე ცუდად ყოფილა,
რა ეშველება არწივას?!
— ჩემო ბიჭიკო, დამშვიდდი,
ამაზე ნუ გეფიქრება,
მივალთ და რამეს ვილონებთ
და ისევ კარგად იქნება.

ვერა, ვერ დასცეს არწივა
კოლხურამ ერთმა მუჭამა.
კაცს მართებს მეტი სიფრთხილე,
მეწველმა ძროხამ თუ ჭამა.
წამს უნდა რამე ილონო,
ვიდრე არ არის გვიანი,
თორემ რძით მოიწამლება
ჯანმრთელი ადამიანიც.
თუ შეამჩნიე, ჭალისპირ
ერთი ბებერი მუხა დგას,
აი, იმ მიდამოებში
მიმოფანტულა უხვადა.
როცა შორიდან გახედავ,
თვალისმომჭრელად ეღვარებს.
კოლხურას გარდა ბევრია
სხვა შხამიანი მცენარეც:
ძიძო, წითელი გვირილა,
ღვია, სატილა, იელი,
ლემა, ლენცოფა, რომელთაც
ერიდებიან ფრინველნიც.
ვარსკვლავა, შმაგა, ცისთვალა,
შვიტა, საგუგა, ბაია, —
ვინ მოსთვლის რა შხამიანი
ყვავილნი არა ჰყვავიან.
ჰოდა, რაც გითხარ, პატარავ,
კარგად გახსოვდეს ყოველთვის,
ეხლა კი შედი კარავში,
შეხე, კიდევაც მოვედით.

* * *

განთიადისას ხმაურით
მთებს იქით ჩადგა ქარწვიმა

და მზემ ღრუბელთა ჩეროდან
სხივები გამოაბრწყინა.
ნიავე ფრთების ფარფარებით
ჩამოუქროლებს თელანსა
ცეცხლისპირ, მწყემსთა კარავში
წევს ფარნა კვარაცხელია.
არწივას მოვლა-ზრუნვაში
მან ლამე თეთრად ათია
და ზეზე მდგარი საჩქალი
შეხვდა მტრედისფერ განთიადს.
მხოლოდ ცისკრის ჟამს ცოტა ხნით
ცეცხლისპირ მიწვა დაღლილი
და ვალმოხდილმა მეჯოგემ
წამსვე ჩასთვლიმა ბალღივით.
გამოღვიძებულს მღუმარი
დახვდა პატარა კარავი,
მის გარდა, უკვე ჩაფერფლილ
ცეცხლთან არ იწვა არავინ.
„ნეტა რა იქნა მურმანი“, —
ფარნა ჩაფიქრდა წამითა
და მხრებზე ნაბადმოსხმული
აღვა და გარეთ გავიდა.
ულვაში ღიმით შეერხა,
მთებს რომ გახედა ნაწვიმარს,
იქვე მახლობლად მურმანი
ეფერებოდა არწივას.
აბიბინებულ საძოვრებს
შემოჰყვნოდა ნახირი
და მთებში ეხოდ ისმოდა
მეჯოგეების ძახილი.



ზატომ ვამბობთ ასე...

საქართველო
საზოგადოებრივი

ენაში განა ყოველი სიტყვა-თქმა პირდაპირი მნიშვნელობით გვეხმის! „თავზე ლაფი დაახეხე“, რომ ვიტყვით, მართლა ლაფის დასხმა კი არ იგულისხმება, არამედ ამ თქმით გამოვხატავთ ადამიანისათვის დიდი შეურაცხყოფის მიყენებას, ადამიანის საყოფა საქციელის საშუაროზე გამოტანას, შერცხვენას, დამცირებას. ესე იგი, გამოდის, რომ ამ სიტყვა-თქმას გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ და არა პირდაპირი მნიშვნელობით.

მანც ხაკითხავია: ლაფი აქ რა შუაშია? ყოველ სიტყვა-თქმას თავისი ისტორია აქვს და ამ შემთხვევაშიაც შეიძლება მივგანოთ იმ პირველსაწყისს, რის საფუძველზედაც ენაში ლაფს ასეთი განზოგადებული მნიშვნელობა მიუღია.

თუ ძველად ადამიანი სოფლის ადათ ჩვევებს დარღვევდა, რაიმე უზნებობას ჩაიდენდა და თავს შეირცხვენდა, მთელი სოფელი დასჯიდა მას, როგორც უღირსსა და შეუფერებელს საზოგადოებისათვის.

ერთ-ერთი ფორმა სასჯელისა იყო ლაფის ანუ ტალახის დასხმა დამნაშავეს თავზე. სოფლის შესაქრებელ ადგილას დასხდებოდნენ თავაკები, მოხუცები, რომლებსაც საყოველთაო პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული. ისინი იმსჯელებდნენ დამნაშავეს მოქმედების გამო და განაჩენს გამოიტანდნენ. „თავს ლაფი დავახსათო“, იგიალებდა ხალხი, დამნაშავეს ქუდს მოხდიდნენ (ქალს — მანდილს) და ყველა ვალდებული იყო მისუღიყო მასთან და ლაფი დაეხსა თავზე. თუ მშრალი ამინდი იყო, ხმელ მიწას წყლით აწვდიდნენ და ტალახს აჩენდნენ. სასჯელის ეს სახეობა, როგორც ჩანს, საქართველოში დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ გადავარდნილა.

აი, აქედან ენაში დამკვიდრებულია თქმა — „თავზე ლაფის დასხმაო“, „თავლაფდასხმული“ განზოგადებული მნიშვნელობით. დღეს, ცხადია, ამ სიტყვების ხმარების დროს არავის აგონდება ლაფი და მასთან დაკავშირებული პროცედურა, რაც ისტორიულ წარსულს ჩაშბარება.

გაიძვერა, ვერაგ, ქლესა, გველაძუა ადამიანზე ვიტყვით, „ადიდაში გამოსულიაო“. საიდან წარმოდგა ეს ფიგურული თქმა? „ადიდა“ ეწოდება ნახვრეტთან ფოლადის ფიცარს. ნახვრეტებში გამოჰყავდათ ლითონის მავთული, უფრო — სპილენძისა; ასე კეთდებოდა მავთული. აი, ზატოვანად ადიდაში გამოსული მავთულისათვის მიუმსგავსებიათ

ხატოვანი სიტყვები

გაქნილი და გაიძვერა ადამიანი და ენაშიც დარჩენილა თქმა: „ადიდაში გამოსულია“.

„ალაიაში გატარება“ ნიშნავს ადამიანის საჯარო შერცხვენას, გამახარებებას. გაბიბრებებას. საიდან წარმოდგა ეს ხატოვანი თქმა? ეგნატე ნინოშვილი ამბობს: „მამაჩემისაგან გამიგონია, რომ გურულებს ჩვეულებად აქვთ, მტერს რომ დაიმორჩილებენ, თოფებქვეშ გააძვრენენ და შემდეგ მისცემენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებასო. ამგვარად, თოფებს ქვეშ გაძვრენას ალაიაში თურმე იმათებურად — ვითომდა ალაიაში გააძვრინებო“ („ჯანყი გურიაში“). ლექსიკოგრაფი ილია ჭყონია ამბობს: ალაია არის ორ წყებად დაწაპულ (მწკრივით დამდგარ) ადამიანთა შუა ადგილი. ალაიაში გატარება უწინ ნიშნავდა ადამიანის წყებლით, ჯიბით ანუ მათრახის ცემით გატარებას ორ წყებად დარაზმულ ჯარის მიერ, ახლა კი ნიშნავს საჯარო შერცხვენას“.

სიტყვა ბობოლა ენაში დამკვიდრდა გავლენიანის, მდიდრის, შეძლებულის სინონიმად. გავიხსენოთ აკაკი: „ჩვენ კოლო ვართ, თქვენ ბობოლა... მაშ ჩვენ ვინ გავგატოლა“. წარმოშობით ბობოლა დიდი ჭიის სახელია. ამავე დროს, ბობოლა ქართლურ-კახურში ეწოდება ხახვის თავს, რომელსაც ქათმის შვიდი ღერი ურჭვია და კერიის თავზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე დიდმარხვის დადგომისას (7 ღერი ნიშნავდა დიდმარხვის გაგრძელებას 7 კვირის განმავლობაში. ყოველკვირეულად თითო ღერს აცლიდნენ და ასე ითვლიდნენ დანარჩენ კვირებს).

„თარხნიანთ წყალობა“ ხალხს უწოდებია გულქვაობისათვის, გაჭირვებულთა განუკითხველობისათვის. ამ ზოგად თქმასაც რეალური საწყისი აქვს: ძველად ახალქალაქში (გორის მაზრა) ყოფილა გულქვაობით ცნობილი თარხნიშვილი, რომელიც სამუდამოდ დაამახხვრდა ხალხს თავისი სიკერპითა და აჯამობით. აკი ხალხური ლექსიც არის ასეთი:

„ციციანთ სუფრა შერცხვა,
თუხარლიანთ გალბოაო...
კარებამდე არ გაგყვება
თარხნიანთ წყალობაო“.

„კედელს ნახშირიო“, ვამბობთ. „ბლატონს, ბლატონს ვახლავართ!“ — ნათქვამია დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალებში“. — დარკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს... ასე უნდა, შე! პატოსანო კაცო, მოყვარის მივიწყება? ეს თქმაც ძველი წა-

რმოშობისაა, იმ დროისა, როცა წერა-კითხვა გავრცელებული არ იყო და რაიმეს დასახმობლად ანდა დიდი ხნის უნახავი ადამიანის ნახვაზე ან საკვირველი მოქმედების გამოსახატავად კედელზე ნახშირს წაუსვამდნენ ხოლმე. იციან აგრეთვე — „კერიას ნახშირიო“ (კერიის ფიქალს წაუსვამდნენ ნახშირს).

საქმის მიფურჩების, ნაჩქარეობის გამოხატავად არსებობს სიტყვა „მიხუთშაბათება“, „მიხუთშაბათე ხაქმეო“, რომ იტყვიან, ნიშნავს — ნაჩქარეოდ, უხარისხოდ გაგიკეთებია, „წაგიხალტურებიაო“ (ახლანდელი სიტყვით). თედო სახოკია ამ სიტყვასთან დაკავშირებით იძლევა ასეთ ვრცელ ახსნას:

ძველად, როცა პარასკევი ითვლებოდა უქმედ, დვთისმხანურების დღედ, როცა ხელით არაფერი უნდა გაკეთებულყო, ყველა ხნის ფიციკური გარჯა-მუშაობა აკრძალული იყო, ყოველივე წინა დღეს, ხუთშაბათს უნდა დამთავრებულიყო, მზის ჩახვლამდე, ე. ი. სამუშაო დღის დასრულებამდე. თუ საქმე ძნელი მოახსწრები იქნებოდა, ადამიანს თავის თავისათვის ძალა უნდა დაეტანებინა და, ვად იქნებოდა თუ კარგად, ადრე იქნებოდა თუ მოგვიანებით, უნდა მიეხსუთ შაბათებინა, ხუთშაბათს უნდა დაეხსურებინა, საპარასკეოდ არ უნდა დარჩენილა. ცხადია, ზოგჯერ კარგად გამოვიდოდა ნახაქმარი, მაგრამ, უფრო მეტ შემთხვევაში, ხუთშაბათს დამთავრებულ საქმეს დადი ნაჩქარეობისა, მიფურჩებისა, ჰაი-ჰარობით გაკეთებისა მანც ეტყობოდა. ქრისტიანობის შემოღებისა და კვირიაკის მეშვიდე დღედ კვირის დადგენის შემდეგ ხუთშაბათს ემაგიერა შაბათი. საშაბათო საქმე უმეტველად უნდა გათავებულიყო კვირაძალამდე, ე. ი. როცა ეკლესიებში წარის რეკვა სამწუხრო ლოცვად არ მოუხმობდა მორწმუნეთ. რა თქმა უნდა, პარასკევის ჩვეულება ახლა კვირაზე გადმოვიდა და სასტიკად აკრძალული იყო ხელით საქმიანობა. ხუთშაბათის როლი შაბათს მიეკუთვნა და ამბობდნენ: შაბათი თაო, ე. ი. იქარა, ნაჩქარეოდ გააკეთა ესა თუ ის საქმეო.

ასეთია მიხუთშაბათებში შაბათებია სიტყვების წარმოშობა

„მტლედ ლაგედეო“, ვიტყვით, როცა გვინდა გამოვხატოთ დახმარების გაწევა, თავის განწირვა ვისთვისმე, გაჭირვების უამს გამოდგომა, „გიწარდე, ჩემო თვალის ხინათლდე, დაგახარე აქ დედა-შენი და იქ მამა-შენი, — ვკითხულობთ ილია ჭავჭავაძისთან, — აი, შენ დაგედღს მტლედ შენი უბედური დედა!“

ტლე ან მტლე ქვევრში ღვინის დანალექს
ეწოდება. იგივე მტლე სახელია ბალახეუ-
ლისა, რომელსაც წყლით ასველებენ და სიც-
ხიან ავადმყოფს ადებენ კომპრესის ნაცვლად.
სამხრეთ საქართველოში მტლეს (ბალახეულს)
იყენებენ საქონლის ტყავისათვის ბალნის მო-
საშორებლად. ქართლში მტლეს უწოდებენ
შლამს, რომელიც შეაქვს სარწყავ წყალს.

ცხადია, ჩვენს ყოველდღიურ სიტუაციაში
რებაში („მტლედ დაგედე...“) არავის აგო-
ნდება, თუ რა არის მტლე-ტლე, რადგან
თქმა სააღერსო მნიშვნელობის ფორმულად
ქცეულა: თავს შემოგველე, შენი ჭირიმე,
შენი კენესამე..

დიდი არეულობის, ხალხის ჩოჩქოლის, აუ-
რზაურის, შეხლაშემოხლის აღსანიშნავად
ვხმარობთ სიტყვას **ო რ ო მ ტ რ ი ა ლ ი**, „სი-
მშლიანთიდან მუდამდღე ორგანოების,
ტაშ-ფანდურის და ჭიანურის ხმა ისმისო“,
ნათქვამია, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ერთ
ნაწარმოებში.

„ორომი“ ვარცლმს დასაფარებელი ფიცარია
ტაბაკის ფორმისა, პატარაფეხებიანი. სახო-
კიას აღწერით, ვარცლიდან ცომის გუნდები
რომ ამოაქვთ თონეში ჩასაკრავად, ჯერ ორო-
მზე დააწყობენ იმდენს, რამდენიც ერთ გახუ-
რებულ თონეში ჩაეტევა და მერე, ზედვე
გაბრტყელების შემდეგ, იქიდან იღებენ თო-
ნეში ჩასაკრავად. სოფლად, როცა ქორწილი
თუ ქედები იყო, ბევრი პური უნდა გამო-
მცხვარიყო. ამ პურს რამდენიმე თონეში
აცხობდნენ და, ერთს კი არა, რამდენსამე
ო რ ო მ ს ა ტ რ ი ა ლ ე ბ დ ე ნ, აქეთ-იქით
მიმოშქონდათ ხშირ-ხშირად, ოჯახში ორო-
მტრიალი იყო. აი, აქედან წარმოდგა ეს სი-
ტყვა, რომლის გამოყენების დროს სრულიად
დავიწყებულია მისი თავდაპირველი საწყისი.
ორომის ტრიალს მოქმელი, ცხადია, არ წა-
რმოიღვენ და მხოლოდ ზოგად ცნებას გამო-
ხატავს.

უპირულ, უსირცხვილო და სახელგატყბილ
კაცზე ვიტყვით,— **პ ი რ შ ა ვ ე ა ო**. რა შუაშია
აქ შავი პირი? რატომ ამ სიტყვებით გამო-
ხატა ქართველმა კაცმა ის შინაარსი, რომე-
ლიც ამჟამად ჩადებულია „პირშავ“—ში?

ძველად ჩვენში საზოგადოებრივი გაკი-
ცხვისა და დასჯის ერთ-ერთი ფორმა იყო
მურის წასმა დამნაშავეს სახეზე, პირის გა-
შავება. თუ ქურდი იყო, ამას არ აკმარე-
ბდნენ და ყელზე ნაქურდალს ჩამოჰკიდე-
ბდნენ,—ახე ატარებდნენ კარდაკარ მთელ
სოფელში, ყველას რომ შეერცხვინა და აებუ-
ებინა სახირცხვო საქმის ჩამდენი.

ახლა რომ ვიტყვით, შენთან **პ ი რ შ ა ვ ა დ**
ვარო, ცხადია, შავ პირისახეხ არ ვიგულო-
ხმებთ და ამას გამოვხატავთ: დამნაშავე ვარ,
მაპატიეო!

მომთა კიძიბური



ერთი სურათის აზვავი

აკაკის ღვებისათვის

ეს ამბავი 1912 წელს მოხდა. სოფელ დერჩს სასიხარულო ამბავი
მოეფინა: მგოსანი აკაკი წერეთელი თბილისიდან მოემგზავრება რაჭა-
ლერჩხუმის დასათვალისწინებლად. მთელი სოფელი მოემგზავდა აკაკის
შესახვედრად. იყო დიდი ზეიმი, დღესასწაული.

ბიძამ—სიმონ წერეთელმა წინასწარ შეასწავლა პატარა თამრიკოს
აკაკის ცნობილი ლექსი: „ნათელას სიმღერა“. თამრიკომ უკვე იცოდა,
რომ სოფელ მექვენაში ქართველი ხალხის დიდი პოეტი—აკაკი გამო-
ივლიდა. სწორედ ამ სოფელში უნდა წაეყვანა ბიძას პატარა თამარი.
გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან ისე გაიარა დერჩიდან
მექვენამდე ოთხი კილომეტრი, რომ დაღლა არ უგვრძნია. აი, მექვენაც
მთელი სოფელი ფეხზე დგას. აუარებელი ხალხი ირევა საყვარელი
მგოსნის ირგვლივ. ბავშვები აკაკის ლექსებს უკითხავენ. ბიძამ თამ-
რიკოც მიიყვანა პოეტთან. ხუთი წლის გოგონამ ისეთი გრძნობით წაი-
კითხა „ნათელას სიმღერა“, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო. აკაკიმ
თამარი ხელში აიყვანა, მოეფერა, აკოცა და მასთან სურათის გადა-
ღება მოისურვა. ასე გადაიღო ფოტოგრაფმა დიდი მგოსანი და პატარა
თამარ წერეთელი: მგოსანს მუხლზე უზის პატარა თამარი, რომელიც
მკერდზე სიყვარულით მიუხუტებია.


ამჟამად თამარ წერეთელი 52 წლისაა. მან სამი შვილი აღუზარდა
სამშობლოს. იგი ხშირად უყვება ხოლმე შვილებს აკაკისთან შეხვედ-
რის ამბავს. და, აი, ერთ დღეს, როდესაც სატელევიზიო გადაცემა დი-
დი აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი იყო მიძღვნილი, მთელი
ოჯახი ტელევიზორს შემოაუხსნა. უცებ ეკრანზე გამოჩნდა სურათი.
„აკაკის სურათი რაჭველ გოგონასთან“—ასე გამოაცხადა დიქტორმა.
გოგონას გვარი და სახელი კი არ გამოუცხადებიათ. გადაცემას უყუ-
რებდა თამარის დედა, 72 წლის ბარბაღე წერეთელი. მან იცნო თავი-
სი პატარა თამრიკო. დღეს უკვე დადასტურებულია, რომ აკაკისთან
გადაღებული რაჭველი გოგონა ნამდვილად თამარ წერეთელია.

სიმონ ნახიაველი

ნახ. თ. სამსონაძისა

ლაშქარ ვაჩიძე

ლამლუზი ერქვა ფუტკართა ქალაქს. ვინ უწყის რამდენი მცხოვრებნი იყო ლამლუზს! ჭიანჭველებზე მრავალრიცხოვანნი ყოფილანო ლამლუზელები. სად არ შეხვდებოდით



შეიკიებეს, ელჩებს, მსტოვრებს. ყველას თავისი საქმე ჰქონდა მიჩენილი: ზოგი ეძებდა მდიდარ საღალღადღებს, ზოგი იღუმალად სწავლობდა მტრის ზრახვებს, ზოგიც მეგობრობას უზრუნველყოფდა მეზობლებთან. და იყო მშვიდობა და თავლით სავსე ფიჭები, მზის კაშკაში და ყვავილთა ფურჩქენა... ხალისით შრომობდნენ, ომობდნენ, ცხოვრობდნენ ფუტკრები.

ხანდახან გამოუცდელი დათვის ბელი გაბედავდა შემოჭრას საფუტკრეთში, მაშინ განგაშს ასტებდნენ გუშაგები. დედოფალს მხნედ გაუღიმებდა ამირსპასალარი და ქედის მოღრეკით მოახსენებდა:

— თავლზე უტკბესო თავლა დედოფალო, ნება გვიბოძეთ განვდეინოთ ეს წუწვი წმიდა ქალაქიდან.

მსუნავი დათუნია ყნოსვაგაბელებული მუხაზე მიბობდავდა, ხოლო საგანგებო რაზმს მიუძლოდა მამაცი ამირსპასალარი. გაუმძღარ მხეცს თვალები მუცელში ჰქონდა ნამდვილად, თორემ ქუთუთითა შორის როგორ ჩაუძვრებოდნენ გაალმასებული ფუტკრები. დაბრმავებულნი, აბლავლებული დათუნია კლდეს მოგლეჯილი ლოდივით დაგორდებოდა მშობლიურ ტყისაკენ. მერე მისი სიბრმავე დიდხანს იყო ჭკუისსაწავლებელი.

ფუტკრებზე ბოღმა აღრჩობდა დათვებს.

მშვიდობიან დროს ამირსპასალარი წვრთნიდა ახლახან დაფუტკრებულ ჭიაბარტყებს. ისინი ხომ ჯერ მურები იყვნენ, უზრუნველად ისხდნენ ბუდეებში. მათ ჭეოთი კვებავდნენ გადია ფუტკრები. უი, რა გემრიელი იყო ჭეო, — ყვავილის მტვრის, რძისა და თაფლის ნარევი! წამოიზრდებოდნენ, ამოვიდოდნენ ბუდეებიდან, ოთხი-ხუთი დღე ტრიალებდნენ ოჯახში, ახლა თვითონვე იქცეოდნენ გადია ფუტკრებად: ამზადებდნენ ჭეოს, კვებავდნენ მურებს, ასუფთავებდნენ დარბაზებს, დარაჯობდნენ კარს. მათ შორის ყველაზე ზრდილი, ძლიერი ფუტკრები შე-



დიოდნენ დედოფლის ამაღაში, ყოველგვარი მოულოდნელობისაგან იცავდნენ მას, საგანგებოდ შერჩეულ თავლს აწოდებდნენ, მიირთვო— აძალებდნენ. თუ დაცხებოდა, კარისკაცები მბრძანებლის ირგვლივ ფეხებით ჩაეკვრებოდნენ იატაკს, დაიწყებდნენ ფრთების სწრაფ ქნევას, მალე სასიამოვნო სივრილეს დააყენებდნენ.


ხუთი დღის შემდეგ ახალგაზრდებს გარეთ გაფრენის ნებას დართავდა დედოფალი. ეს გახლდათ ფუტკართა გამომღერება. ჯანლონით სავსე, შრომასმოწყურებული ახალგაზრდები ზემით დატოვებდნენ მშობლიურ სასახლეს, ეცნობოდნენ არე-მარეს, ტკებოდნენ ლამლუზის შემოგარენის მშვენებით.



თურმე ლალაზე აქედან წასულ ფუტკარს. ყველგან იყვნენ ისინი, ყველგან — ხეებში აცრემლებულ მანანაზე, ნაირფერ იალაღებზე... მოვლილი და დაპყრობილი ჰქონდათ მთელი ყვავილეთი.

თვითონ ქალაქი ფრიალო კლდეთა შორის ყოფილა გაშენებული ბებერი ცხრა მუხის ფულუროებში. ძირს კალმახთა საბუღარი დიდი რუჩადიოდა, მის ნაპირას იშლებოდა უღრანი ტევრი სადათვეთი, შორს გაღმა თავშიშველა ბორცვზე მდებარეობდა ჭიანჭველეთი.

სადათვეთთან ომი ჰქონდა ფუტკართა ქალაქს, ჭიანჭველეთთან — მშვიდობა.

ლამლუზს განაგებდა კეთილშობილი დედოფალი თავლა, ჭკუა-გონებითა და სილამაზით განთქმული. ერთ სამეფოდ ღირდა მისი ნახვა, ირგვლივ მცველთა რაზმი ერტყა — რჩეული, ნესტარგესლიანი, ჭაბუკი ფუტკრებისა. ხნიერი, ნაცადი მანდატურთუხუცესი წესრიგს იცავდა, ნიშნავდა ქალაქის კართან გუშაგებს, აგზავნიდა შვიდივე კუთხით





მერე ამირსპასალარი დაიწყებდა მათ წვრთნას ფრთების გასამაგრებლად და ფრენის ხელოვნების დასაუფლებლად. კოლონებად დაწყობილ ახალგაზრდებს თვითონვე უჩვენებდა მაგალითს სიმარჯვეში. ჰაი, დედასა! რამდენი რამ მოაგონდება თავის ჭაბუკობიდან! ეს იყო ამ ოცი დღის წინათ. მუშაფუტკარი ხომ ორმოციოდე დღე ცოცხლობს! სკიდან პირველი გამოფრენისას ისე ყოჩაღად ეჭირა თავი, — მაშინვე შეამჩნია ძველმა ამირსპასალარმა. უკო სიმკვირცხლე, ფრთების სიმტკიცე და ნესტრის სიმახვილე, ღალის მოსაკრეფად როცა წავიდა, თან გაიყოლა. ასწავლა როგორ დასჯდომოდა ყვავილს, როგორ ამოეწუწუნა ტუბილი წვენი—ნექტარი. ამის შემდეგ ერთმანეთს აღარ მოშორებიან. ვინ იცის, რამდენი საფრთხე გადახდენიათ!

ერთხელ ყვავილის მტერის მოსატანად წავიდნენ. ეს ძვირფასი მტვერი ისე ჭირდებათ სკაში, როგორც ნექტარი; მისგან არა მარტო ჭეჭს ამზადებენ, არამედ სანთელსაც. სანთელი კი ფიჭათა სამშენებლო მთავარი მასალაა. მაგრად დაიტვირთნენ, სულ გაყვითლდნენ თავიანფეხებიანად. მძიმედ გამოსწიეს შინისაკენ. ძნელი იყო ფრენა, მაგრამ დასვენება არ შეიძლებოდა, ასეთ დროს თუ დაჯდები, დაკარგავ მონაპოვარს. როგორც იქნა მიუახლოვდნენ ქალაქს. ცოტაც და, შვებით ამოისუნთქებდნენ. ანაზღად, ზედ მიეხალა უფროსი მეგობარი:

- ჩქარა, ჩქარა დაეშვი!
- ვაიმე, დამაბნევიანე...
- ხმა! მომყე!

მეტი რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა ბრძანებას. მალე ჯორისტერფას ქვეშ ამოჰყვეს თავი.

— რად ჩამიყარე დღევანდელი შრომა წყალში? — აწუწუნდა ახალბედა. ბებერმა ფუტკარმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ხორთუმით ანიშნა მიხლობელ ცაცხვზე, რომლის კენ-

წეროზე თვალსისხლიანი, ნისკარტკაუჭა, ჭრელი ფრინველი იჯდა. სწორედ ის ადგილი შეერჩია. წყეულს, სადაც ფუტკრები ბრუნდებიან და ნელა ეშვებიან ქალაქისაკენ. დაღაზვროს ეშვამკმა, მაშინვე კამარას ჰკრავს მტაცებელი, იჭერს ღალით და ტვირთულ ფუტკარს და გადაუძახებს გასახეთქ მუცელში.

— ეს არის ჩვენი მოდგმის დაუძინებელი მტერი, კვირიონი, — მძულვარებით ჩაილაპარაკა გამოცდილმა მუშამწერმა.

— ფრინველი რა არი, დათვის არ გვეშინია და...

— დათვზე უარესია! განა ქალაქში აცის თავდასხმა! ასე ჩაგვისაფრდება დაბრუნებისას და სათითაოდ გვასალმებს წუთისოფელს.

იმ დღეს ცარიელი დაბრუნდნენ სკაში. ძველმა ამირსპასალარმა ყველაფერი უამბო თავლა დედოფალს — მბრძანებელმა მოუწონა საქციელი და სხვა ფუტკრებსაც ურჩია მორიდებოდნენ ვერაგ კვირიონს.

* * *


დაღა აგვისტოს დამლევით. შემცირდა ღალიანობა. ნაკლებად იშვებოდა ნექტარი. იკლო შემოსავალმა. მუქთახორა მამლები მძიმე ტვირთად იქცნენ. ისინი ხომ ყოველთვის ქეიფსა და ღრეობაში ატარებ-

ბენ დროს, არ უყვართ შრომა. სამავიეროდ, ჭამაზე ხელდებიან, რომელი უჯრედიც გაეხარდებათ, იმას მოხდიან, უღარდელად შეეჭკვიან მზა თაფლს. ამიტომაც ჩასუქდნენ, მდიდრულად უბრწყინავთ ნაპატიები სხეული. დროდადრო გარეთ გაისეირნებენ, მხიარული ზუზუნით დანავარდობენ, მერე უკან მობრუნდებიან, ისევ მოაწყობენ ღრეობას. მერე? მერე მხართემოზე წამოწოლილნი ამოუშვებენ ხვრინვას.

არა, არა! როდემდე უნდა ითმინოს ეს შრომით წელში გაწყვეტილმა მუშაფუტკარმა! და აი, დაღა უქნარათა განკითხვის დღე. ამირსპასალარი რაზმავს მებრძოლთა გუნდებს. იწყება გრიგალისებური შეტევა. ჩასუქებული, დონდლო მამლები ლაჩრულად ეყუყუებიან ერთმანეთს. უღიმღამონი, უმწეონი არიან, ბრძოლა როდი იციან! პირველი შეჯახებისთანავე წახდნენ, ხვეწნა-მუდარაზე გადავიდნენ. მაგრამ ასეთია შრომითა კანონი: ვინც არ მუშაობს — არც ჭამს! ჰოდა, უწყალოდ დაგესლეს მუქთახორა მამლები. მერე? მერე ყველანი გარეთ გაათრის, მხოლოდ რამდენიმე მათგანი გადარჩა, ისიც მანდატურთ-უხუცესის ჩარევით და შუამდგომლობით. ორიოდე მამლის არსებობა აუცილებელია სკაში შემდგომი გამრავლებისათვის.

სწორედ ამ ბრძოლის დროს მსახელა თავი ჩვენი ამირსპასალარის რჩეულმა. ისე მოხერხებულად ანადგურებდა მტრებს, რომ ყველა ალტაცებული დარჩა. კიდევ კარგი, მამლებთან შერკინებისას ნესტარს არ კარგავს ფუტკარი. თორემ ჩვენი





მოახსენეს, ვეზირებმა მუშაველს შვეკრებთ, დღისვე დავიწყებთ ფიჭათ-მშენებლობას. აბა, გაგვიძებს ხუროთ-მოძღვარო!

და დაიწყო. დაახვავეს სანთლის მთები, ჯაჭვის რგოლებივით გადაებ-ნენ ერთმანეთს—ასე მოხერხებულად აწოდებდნენ საშენ მასალას.


ორ დღეში დამთავრდა მშენებ-ლობა. თაფლა დედოფალმა ამალით დაათვალიერა ახლადნაგები ფიჭები. კმაყოფილება იმით გამოხატა, რომ რამდენიმე მათგანში კვერცხები ჩა-დო. მერე მთავარ დარბაზს მიაშუ-რა: ტახტზე დაბრძანდა—დრო დამდ-გარიყო დესპანთ მიღებისა.

მომჯადოებლად ბრწყინავდა მოკრიალებული დარბაზი. სისუფთა-ვე ხომ ყვავილებივით უყვართ ფუტკ-რებს. ირგვლივ ახალი თაფლის სა-სიამოვნო სურნელი იღვავდა. ყელმო-ღერებული იჯდა ტახტზე დედოფა-ლი, მარჯვნივ ამირსპასალარი უდგა, მარცხნივ მანდატურთუხუცესი. ყვა-ვილთა ფურცლებით მოფენილი გზა მიემართებოდა პირდაპირ კარისაკენ. იქ ფრთხილი ფარეშები დარაჯობდ-ნენ, მათ ევალებოდათ დამტვერილ ელჩათა სწრაფი გასუფთავება, ამას-თანავე თვალყურით, თუ რამდენად სანდონი იყვნენ ისინი.

ჭიანჭველეთიდან მოსულ დესპა-ნებს ხვდათ პირველად მიღება. წინ მიუძლოდათ ნაცადი დიპლომატი ოქროპირი ჭიანჭველა ჭუჭია. ტახტი-დან სამი ვაცოცების მანძილზე შედგ-ნენ. ცხრაგზის თაყვანი სცეს მწერთ უპირველესს.

— რა ვაგჭირვებით, კეთილო მეზობლებო?!—ჭკითხა თაფლა დე-დოფალმა. ოქროპირმა ჭიანჭველა ჭუჭიამ ვედრებით აღაპყრო თვალე-ბი, სასოებით ააცმატუნა უღვაშები და დაიწყო:

— მოვედით შენს წინაშე მონანი შენნი, დიდო მბრძანებელო, განთქმუ-



თაფლა დედოფალმა სადარბაზოდ დასხა რჩეულნი. უხბეს ხუროთმოძ-ღვარს, შემოვიდა მსცოვანი, ღონიე-რი ფუტკარი. სამგზის სცა თაყვანი მწერთ უპირველესს:

— რას გვიბრძანებთ?!—შეჰკადრა. — დროა შევუდგეთ ფიჭათმშე-ნებლობას.— ბრძანა დედოფალმა.— ქვეყნად მშვიდობაა, სადათვეთი და-შინებულა, კვირიონებიც გადაიხვე-წნენ. ყვავილეთის ძუძუ ისევ ბარა-ქიანია. მეტი რაღა გვინდა, ვაგრო-ვოთ თაფლი, ვიმრავლოთ, ვიზარ-დოთ.

— სწორი ბრძანებაა, თაფლზე უტკბესო თაფლადედოფალო,—


ძამაცი მეომარი ვინ იცის რამდენჯერ მოკვდებოდა. დამსახურება დაუფას-და კიდევ, ახლა თვითონ არის ამირ-სპასალარი.

ჭაი დედასა, რა ვაჟაკი იყო ჩვენი ამირსპასალარი! შრომამ, სი-ბერემ თავისი ქნა, ფრთები შემოაცვ-და, აღარ ჰქონდა ძველი შემართე-ბა, ომახიანობა. როცა დარწმუნდა საკუთარ უძლურებაში, წარსდგა თაფლა დედოფალთან, სთხოვა გან-თავისუფლება, თან მიუთითა გაზრ-დილზე: აგერ ჩემი ღირსეული შემ-ცვლელიო! მერე ერთად გაფრინდნენ ყვავილეთში. უჭირდა მოხუცს მუ-შაობა, ხენეშით ინაცვლებდა ყვავი-ლიდან ყვავილზე, ძველი ოსტატობით ველარ ხმარობდა დაბლაგვებულ ხორათუმს. ეშმაკი სოსანი დამცინა-ვად ილიმებოდა, თეთრყვავილა ლა-ტი ხომ მთლად სიცილით კვდებოდა. ხედავდა ამას ახალგაზრდა ამირსპასა-ლარი, უკვდებოდა გული... მერე ძვე-ლი მხედარი ისვენებს მეკენძალას ჩვილ ფოთოლზე. უბრუნდება ძალა, დაუოკებელი სურვილი. იმედი უბრ-წყინავს თვალეში, ვერა, ვერ შე-ღვეია ყვავილთა სურნელს, ცის ლაქ-ვარდებს და დედამიწის გულუხვობას. თრთოლვით წუწნის სახუკვარ წვეს. თითქოს ერიდებო, ისე ირხევა, თავს ხრის შრომანა. მერე? მერე ფუტკარი აღარ ინძრევა. დახედავს ჭაბუკი თა-ნამგზავრი, შეიცნობს სიკვდილს, ავის მაცნედ ბრუნდება უკან და ძვე-ლი ამირსპასალარის დადუჰვას გლო-ვობს ქალაქი ლამლუში.

* * *

წვრთნა დამთავრდა, დამთავრდა ამირსპასალარის მოგონებანიც.





ლო გონიერებითა, სიძლიერითა და აზროვნებითა, სილამაზითა, მშვენიერებითა, სიქველთა, ყოველნაირი სიკეთითა. ხარ გულუხვი, შემბრალე, მოწყალე, სამართლიანი, ავკარგიანი, იმედი გვაქვს სწორი განსჯისა, ბრძნული დახმარებისა. გვედრებით, გვიშველე რამე, გვიხსენი ავისა, ბოროტისა, მზაკვარი მტრისაგან, მტრისაგან, რომელიც შემოსევია ჩვენს უბადლო ქალაქებს თარიკონსა და მარიკონს. გაგვინადგურა სასახლეები კეთილნაშენი, გაგვიბინძურა, შეგვიბღალა წმინდა ტაძარები, დაგვინგორია, გაგვიძარცვა საჭურჭლეები, წაგვართვა სარჩო-საბადებელი, აგვიწიოკა, დაგვიშოა ცოლშვილი, არ დაინდო, თათებით დაგვისრისა პატარები. გვიშველე, გვიხსენი ავბედითი განსაცდელისაგან!

— ვინ არის, ოქროპირო, თქვენი შემწუხებელი?—დასძრა სიტყვა თაფლაბატონმა.

— შემწუხებელი კი არა, ამომგდები!—წაიბურღლუნა რომელიღაც დესპანმა. მწყრალად გადახედა ჭუჭია მეთიჩარას, დაადუმა, მერე კვლავ აოქროპირდა:

— თავგთა მეფე თავუტ, უძლიერესო მბრძანებელი!

— თავუტ ცნობილია თავის სიხარბით, მსუნაგობით. ჩემს ქალაქსაც ბევრჯერ შემოუსია მშიერი ჩუხჩები. ღვთის მადლით, გავანადგურეთ, აწ ველარ ბედავენ შეურაცხეონ უწმიდესი ლამლუზი. ამირსპასალარო, გაგვიძებ, გვიჩვენე თავგთა საფლავები.

დედ ფალი ნარნარი რხევით ჩამობრძანდა ტახტიდან. ამირსპასალარის წინამძღოლობით მთელი საზოგადოება დაიძრა თავგთა საფლავების სანახავად. ორმოციოდე გაცოცების შემდეგ გადაიშალა ფართო ველი, მოფენილი სანთლის ბორცვებით. იქ სამუდამოდ განისვენებდნენ ყაჩაღი თავგები.

სიხარულით აცრემლდნენ ჭიანჭველათა დესპანები.

— წმიდა არს წესი ფუტკართა!—სიამაყით თქვა, მანდატურთუხუცესმა,—რის გარეთ გათრევისაც ვერ შევძლებთ, სანთლის სამუდამო საფარველს ვუქეთებთ, რათა არც სუნმა შეგვაწუხოს და არც ჭუჭყმა.

* * *

დამთავრდა სერიანობა. პურობაზე მიიწვიეს დესპანები. თვითონ დედოფალი თავკაცებთან ერთად ჩიკეტა. დარბაზს უნდა ემსჯელა ჭიანჭველათა დახმარებაზე. ჯერ მანდატურთუხუცესმა ითხოვა სიტყვა:

— ახალი ამბავი არ მოუტანია ჭუჭიას, თავგთამძღვრობა ჩვენთვისაც ცნობილი იყო ადრევე. დღეს თუ თარიკონი და მარიკონი აიკლეს, ხვალ შეიძლება ლამლუზსაც შემოუტეონ.

— შემოუტეონ და დაეხვდებით!—ფიცხლად მიუგო ამირსპასალარმა.

— დახვედრით დახვედებით, მაგრამ ჯობია დავასწროთ!—ბრძნულად განსჭვრიტა თაფლა დედოფალმა.


— მაშ, შეეუტიოთ!

— შეეუტიოთ!—იყო საერთო დასკვნა.

დესპანებს ამცნეს სასიხარულო გადაწყვეტილება. აღტაცებული ელჩ-მთავარი ჭუჭია დაპირებას იძლეოდა:—აღმოვაჩინთ კვირიონთა ბუდეებს, დავერევით, ამოვუჭამთ ღლაპ ბარტყებსო.

ნაშუადღევამდე გაგრძელდა დარბაზობა. ერთხმად მიღებულ იქნა ამირსპასალარის გეგმა: დესპანების

წასვლიდან სამი დღის შემდეგ დასძრა ვედა იგი ჯარს. ასე მოუვლანდნენ იმიტომ, რომ უფროთა ჭიანჭველები ძალიან წელა მოძრაობენ. ფუტკრის ერთი დღის საფრენს ისინი ერთ თვეს უნდებიან. ჭუჭია კი ფუტკრებზე ადრე უნდა მისულიყო ჭიანჭველეთში, შეეკრიბა ლაშქარი. ამირსპარსალარს მათი გამოყენება სურდა მესანგრეებად. გამოცდილი მხედართმთავარი იყო თავუტ. ფუტკართა თავდასხმას რომ შეიტყობდა, ღრმა სრობებში ჩაკეტავდა თავისიანებს.



ვის უნდა დაენგრია ეს თავშესაფარები, თუ არა მესანგრე ჭიანჭველებს!

დადგა გალაშქრების დროც. დამე იყო მოწმენდილი, ვარსკვლავებით გაფერძკრთალებული. არ იძროდა ნიავი, მაგრამ ატყდა გრიგალი. არსად ჩანდა ღრუბელი, მაგრამ გაჩნდა. შავი ჯანღი—ფუტკართა ლაშქარი. დაჩაგრულთა სახსნელად მისწრაფოდნენ სიმართლის მოყვარულნი. მზვერავებმა კარგი ამბავი მოიტანეს: უდარდელად სძინავთ თავუტის მსუნავ ჩუხჩებს, სოროების საფარველი იღუმლად შემოუტელიათო მათთვის მესანგრე ჭიანჭველებს.

ისე სწრაფად შეუტეეს, რომ ელდისაგან ბევრ თავგს გული გაუსკადა. ატყდა წრიბინი,—ღრიანციელი. ნესტრგესლიანი მარჯვე ფუტკრები მუსრს ავლებდნენ მტერს. თვითონ თავუტ მალე შეშინდა, გაქცევით უშველა თავს. გვამებით მოიფინა თარიკონის და მარიკონის სანახები. დაჭრილთა კვნესა ზეცას სწვდებოდა. მწარედ ოხრავდნენ კისერმოგრებილი, ნესტარმოგლეჯილი ლამლუხელები, ხოლო თავგებიდან ცოცხალი ვინ გადარჩებოდა, ათასმა ფუტკარმა მაინც უჭბინა თითოეულს!

(დასასრული შემდეგ ნ. მ. მ. რ. შ. შ.)





წყალქვეა მანქანები

1952 წელს ახალგაზრდა ფრანგმა ენთუზიასტებმა გალენის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს იმ დროისათვის ერთად-ერთი მყვინთავ-აკვალანგისტთა კლუბი. ძნელი გამოდგა პირველად, ხმელეთზე შეჩვეულთათვის იგივე სამუშაოების წყალში შესრულება, მაგრამ აკვალანგისტები თანდათან შეეჩვივნენ სიღრმეს და ბოლოს გემების და ჯებირების რემონტი დაიწყეს. ყველაზე რთული სამუშაო, რომელიც მათ შეასრულეს, ერაყის წყალსაცავის შეკეთება იყო, რის დროსაც აკვალანგისტ მყვინთავეებს 60 მეტრის სიღრმეზე მოუხდათ მუშაობა.



ახლა, როდესაც დადგა კოსმოსის ათვისების ერა, ადამიანმა ოკეანის სიღრმეების ათვისებასაც თამამად მოკიდა ხელი. ალბათ მალე ბატისკაფის ნაცვლად, რომელითაც, როგორც ჩვენ გასულ ნომერში ვწერდით, პიკარმა რეკორდულ სიღრმეს მიაღწია, მოგარადაც ახალი, უფრო სრულყოფილი აპარატურები და ადამიანები არა მარტო ჩაგლენ წყლის სიღრმეში, არამედ, იქ შრომასაც შესძლებენ.

აქ არაფერია გასაკვირველი, რადგან სულ ოციოდე წლის წინად, ვერაინ წარმოიდგენდა, რომ ადამიანი ოდესმე თერთმეტი კილომეტრის სიღრმეზე შესძლებდა ჩასვლას. რაღა შორს წავიდეთ, სულ ორიოდე თვის წინ სამი კილომეტრი სიღრმე რეკორდად ითვლებოდა.

მწვერვალი

საქართველო

ტრაქტორი ელექტროდენით მუშაობს

ამერიკის ერთ-ერთმა ფირმამ გამოუშვა ახალი ტიპის ტრაქტორი, რომელსაც არა აქვს ჩვეულებრივი ძრავა, იგი ელექტროდენით მუშაობს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ელექტროენერჯიას ტრაქტორი, ელსადგურიდან კი არ იღებს, არამედ, თვითონ იმუშაავებს.

ტრაქტორზე მანქანის ძრავის ნაცვლად დადგმულია გაზოელექტროტურბინა, რომელიც 15 კილოვატ ელექტროენერჯიას იძლევა და კვებავს 20 ცხენის ძალიან ტრაქტორის ძრავას, პირველი ასეთი ექსპერიმენტალური ტრაქტორის წონა 2880 კილოგრამია, გამწვეუნარიანობა კი 1360 კილოგრამი.

როგორც ამბობენ, ახალი ტიპის ტრაქტორი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო გამძლე იქნება.



ლეგა ღრუბლებს ნაპარაღებში ერეკება დილის სიო და ჩახჩახა მზის ნათელი ეფინება კავკასიონს;

ეფინება თეთრ მწვერვალებს, აღმართულებს შუბის დარად... ჩანს თეთნულდი—ბროლის კოშკი, ცაში ელავს კუშტი შხარა.

ვით რაინდი ძველისძველი, გადმომდგარა უშმა სალი, გულზვიადი, ქედუხრელი, სილამაზე საოცარი.

აგერ, გულბა თავმდაბალი, აგერ, ჩემი აილამა... ჰა, ღრუბლების თავსაბური მოიხადა ლაილამაც.

...ვემზერ დეღვით თეთრ მწვერვალებს, მშობლიურებს, ახოვანებს, მე სიმალღე მხიბლავს მათი და სიმხნევე მაფრთოვანებს:

მე სიმტკიცე მიყვარს მათი,— შეურყევეი მეხის ხმაშიც, როცა ზეცა მიწას შოლტავს და გრივალი ფაფარს გაშლის.

სულს მიკაყებს მათი ცქერა, მეტი რწმენით მიცემს გული: ვით ეს უშმა, ვით თეთნული, ლაყვარდამდე აზიდული,

მეც ვიქნები მარად მტკიცე, ვერ შემაკრთობს ყინვა ქარი, გავებრდები ჩემს ქვეყანას უღრეკელი, უშიშარი.

სიომე შაჰიანი





ქართული
წიგნების
კავშირი



უჯაჯაჯაჯი კუ

ორასიმო კირიკა

ნახ. გ. როინიშვილისა

ბუენოს აირესში ოდესღაც ძალზე ჯანმრთელი და შრომისმოყვარე კაცი ცხოვრობდა. ერთ დღეს იგი უეცრად ავად გახდა. ექიმებმა სუფთა ჰაერზე დასვენება ურჩიეს, მას არ შეეძლო ქალაქის მიტოვება, რადგან უიმისოდ მისი ძმები შიმშილით ამოიხოცებოდნენ. ჯანმრთელობა კი თანდათან უარესდებოდა. ერთ საღამოს ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა უთხრა:

— შენ, ჩემო მეგობარო, პატიოსანი და მშრომელი ადამიანი ხარ, ამიტომ, გირჩევ, ქალაქი მიატოვო და ტყეში წახვიდე, იქ შენ მალე გამოჯანმრთელდები, ინადირებ მხეცებ-

ზე და, რომ ჩამოხვალ, ქურტებს ჩამოიტან. სამაგიეროდ, ფულს წინდაწინ მოგცემ, რომ შენი ძმები შიმშილით არ ამოწყდნენ.

ავადმყოფი დათანხმდა და საცხოვრებლად ქალაქიდან ძალიან შორს გაემგზავრა. დაიწყო ცხოვრება ტყეში, სადილს თვითონ ამზადებდა, ჩიტებზე და გარეულ მხეცებზე ნადირობდა და ამიტომაც ხორცი სადილად მუდამ ჰქონდა. ხილს კი ხეებზე კრეფდა. ეძინა ხის ქვეშ. რამდენიმე ხნის შემდეგ მონადირე გამოჯანმრთელდა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც იგი სანადიროდ გაემართა, ტბის ნაპირას შეამ-

ჩნია ვეფხვი, რომელსაც ციფრების უზარმაზარი კუ მოეგდო და ჯავშანიდან ბრჭყალებით ხორცის ამოღებას ცდილობდა. ვეფხვმა ადამიანის დანახვაზე დაიღრიალა. ისკუბა მისკენ, მაგრამ მონადირემ ტყვია შიგ თვალთა შუა მოახვედრა და თავის ქალა ორად გაუპო. შემდეგ ვეფხვი გაატყავა. ტყავი ისეთი უზარმაზარი გამოდგა, რომ დიდი ოთახის ნახად გამოდგებოდა. „ახლა კი კუს ხორცს მივირთმევ, ამბობენ, ძალზე გემრიელიაო“, — წარმოთქვა მონადირემ. როდესაც მიუახლოვდა, დაინახა, რომ კუს თავი წაწყვეტაზე ჰქონდა. მონადირეს ძალზე შიოდა, მაგრამ შეეცოდა უბედური კუ, თოკით გარდი-გარდმო შეკრა და ფარდულამდე მიათრია. იქ კი თავის ერთად ერთი პერანგი გაიხადა და თავი შეუხვია. კუ უზარმაზარი, ძალზე მაღალი იყო და ორი ადამიანის წონა იქნებოდა. იგი მონადირის ფანდულის კუთხეში რამდენიმე ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იწვა. ბოლოს სრულად გამოჯანმრთელდა. მაგრამ ახლა თვით მონადირე გახდა ავად, მთელი ტანი ეწვოდა, სიცხე თანდათან ემატებოდა, წყურვილისაგან ხახა გაუშრა. მონადირე მიხვდა, რომ ავად იყო და უნებურად რალაც წამოილაპარაკა, თუმცა მისი ნათქვამი ვერავინ გაიგო, რადგან ახლომახლო არავინ იყო.

— მე მოვკვდები. წამოდგომა არ ძალმიძს, არც ვინმეა, რომ ჭიქა წყალი დამალევინოს. მე შიმშილი ან წყურვილი მომკლავს, — ბოდავდა ავადმყოფი. ცოტა ხნის შემდეგ სიცხემ უმატა და გონება დაკარგა.

კუმ მონადირის ლაპარაკი გაიგონა და ამ კაცმა, როცა ძალზე შიოდა, არ შემჭამა, პირიქით, მომარჩინა. ახლა მე მოვარჩენ მას, — წარმოთქვა კუმ და ტბისკენ გაემართა. იქ პატარა ჯავშანი მონახა, გაწმინდა, წყლით აავსო, წამოიღო და დაალევიანა მონადირეს, რომელიც წყურვილისაგან სულს დაფავდა. კუ ყოველ დღით ტყეში დაბორიალობდა და მონადირისათვის ბალახეულობა მოჰქონდა. ავადმყოფი



ჭამდა და ვერ ამჩნევდა ვინ კვებავდა, რადგან სიცხისაგან ცნობიერება დაჰკარგვოდა. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ავადმყოფმა ოდნავ მოიკეთა, ირგვლივ მიმოიხედა და, გაუნძრევლად მყოფი კუ რომ დაინახა, კვლავ წამოილაპარაკა:

— მარტომარტო ვარ, ციებ-ციხელება კვლავ შემიტეგს და მოვკვდები აქ, ამ ტყეში, რადგან წამალი, რომელსაც ჩემი მორჩენა შეუძლია, მხოლოდ და მხოლოდ ბუენოს აირესშია. იქ კი ვერასოდეს ვერ მივალწვევ.

მისი ნათქვამი გამართლდა. ციებ-ციხელებამ ახალი ძალით შეუტია და ავადმყოფმა კვლავ გონება დაჰკარგა.

— თუ ტყეში დარჩა, უეჭველად მოკვდება, უნდა წავიყვანო ბუენოს აირესში. — წაილაპარაკა თავისთვის კუმ, ავადმყოფი წნელით ზურგზე მიიბა—არ გადმოვარდესო და გზას გაუდგა. მიდიოდა შეუსვენებლივ, მიდიოდა დღისით და ღამით, გადაიარა ტყეები და მინდვრები, გადაცურა წყლები, მიფოფხავდა გაუვალ ჭაობში, ასვენებდა, ასმევდა, აჭმევდა ავადმყოფს და კვლავ გზას განაგრძობდა. ისე დილაღა, რომ ძილი ყველაფერს ერჩივნა. ხშირად მას სიარული მზურვალე მზის ქვეშ უხდებოდა, რის გამო ავადმყოფი ხმამაღლა ბოდავდა: „მწყურია! მწყურია!“ და კუც იძულებული იყო ავადმყოფისთვის წყალი ხშირად ესმია.

ასე გადიოდა დრო. კვირა კვირას მისდევდა. თანდათან უახლოვდებოდნენ ბუენოს აირესს. კუს ძალა გამოეღია, მაგრამ ბედს არ უჩიოდა. ხანდახან გაუნძრევლად ერთ ადგილზე იდგა. გონზე მოსული მონადირე კი გაიძახოდა: „ძალზე ცუდად ვარ, მხოლოდ ბუენოს აირესში შეუძლიათ ჩემი მორჩენა. მაგრამ მე ვკვდები აქ, ამ ტყეში“. ავადმყოფი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მას ეგონა, რომ კვლავ ტყეში, თავის ფარულში იმყოფებოდა. ამ სიტყვების გაგონებაზე კუ კვლავ გზას განაგრძობდა.

და აი, ერთ დღეს, საბრალო კუს ძალღონემ უღალატა, დაეცა და წამოდგომა ვეღარ შეძლო. ერთ კვირაზე მეტი იყო არაფერი ეჭამა, რათა ქალაქში ჩქარა მისულიყო. კუ უკვე ბუენოს აირესში იმყოფებოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცო-

და. სინათლე, რომელიც ცაზე მოჩანდა, ქალაქის ჩირაღდნები იყო. კუ სწორედ მაშინ კვდებოდა, როცა თავისი გმირული მოგზაურობით მიზანს მიაღწია. ამ მდგომარეობაში მყოფი მგზავრები შემთხვევით შეამჩნია ბატარა თავუნიამ და განცვიფრებით წამოთქვა:

— ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი უზარმაზარი კუ! ზურგზე რა გაქვს? შეშა?

— არა, ადამიანია,—ნაღვლიანად უპასუხა კუმ.

— საით მიემგზავრებით?— შეეკითხა ცნობისმოყვარე თავუნიამ.

— ჩვენ მივდივართ... მე მივდივარ... ბუენოს აირესში მინდოდა მისვლა, მაგრამ, როგორც ვატყობ, აქ მოვკვდები, რადგანაც ქალაქამდე ვეღარ მივალწვევ,—ჩუმად, ძლივს გასაგონად უპასუხა საწყალმა კუმ.

— ეხ, შე სულელო...—გაეცინა თავუნის.—არასდროს მინახავს ასეთი ტუტუტი კუ! შენ ქალაქში იმყოფები, აი, წინ რომ სინათლე მოჩანს, ბუენოს აირესის ჩირაღდანია.


ამ სიტყვების გაგონებაზე კუმ ისეთი ძალა იგრძნო, როგორიც არასოდეს ჰქონია, რადგან მასში კვლავ გაცოცხლდა იმედი მონადირის გადარჩენისა, და გაუდგა გზას.

გათენებისას, როდესაც ღებუნი დევ ყველას ეძინა, ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა ტალახში ამოსვრილი უზარმაზარი კუ დაინახა. რომლის ზურგზე წნელით მიბმული მომაკვდავი ადამიანი იწვა. დირექტორმა იცნო თავისი მეგობარი და იმ წამსვე მოარბენინა წამალი, დააღვინა და მონადირეც სწრაფად გამოჯანმრთელდა.

როდესაც მოუყვინენ, კუმ სამასი მილი გამოიარა და ასე გადავარჩინაო, მონადირემ მოისურვა მუღმივად მასთან ყოფნა, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ვერ შეძლო მისი მოთავსება. მაშინ დირექტორმა შესთავაზა მეგობარს კუ ზოოლოგიურ ბაღში მიეყვანა, თანაც დაპირდა. შეილსავით მოეუფლიო.

ასეც მოხდა. ბენდიერი კუ, რომელსაც ძალზე პატივისცემით და სიყვარულით უვლიან, ბაღში დასეირნობს. საღამომობით ყოველდღე დიდის მასთან მონადირე კუ შორიდანვე ცნობს თავისი მეგობრის ფეხის ხმას. ისინი დიდ ხანს არიან ერთად და კუ სახლში არ უშვებს ხოლმე მონადირეს, სანამ იგი გამომშვიდობებისას ხელს ზურგზე სიყვარულით არ მოუთათუნებს.

ესპანურიდან თარგმნა ბ. მირცხულავამ





პარტიის გათამაშებით შეწყდა მატჩი. მ. ტალმა გამარჯვებით დაავიჯრგვინა ორთაბრძოლა.

მ. ბოტვინიკი ჭადრაკის ისეთ კორიფეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც უბრძოლველად არ დათმობს მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის სახელს. ამიტომ იგი ისარგებლებს უფლებით მომავალ წელს მატჩ-რევანშში შეხვედრის მ. ტალს და შეეცდება დაიბრუნოს დაკარგული ტიტული.

მ. ტალის შემოქმედება ბევრ დავას იწვევს. იგი თითქოს ჩვეულებრივად თამაშობს, მაგრამ ადვილად იმარჯვებს. ეს მოჩვენებითია! ტალის თამაში ღრმაა, როგორც ზღვა. მისი ნიჭის მთავარი ნიშანია გენიალური კომბინაციური ხედვა. იგი შორიდან, როგორც არავინ, ამჩნევს საკომბინაციო მოტივებს, მუსიკოსივით გრძნობს პოზიციის ნიუანსებს და, გაგრძელებებს სათვლელი მანქანის სისწრაფით გამოითვლის ხოლმე ძალიან შორს. ამიტომაც ტალის იერიშები მოულოდნელი და კომბინაციური გამოაცხებელი. ამასთან, იგი დიდი პრაქტიკოსია, ბევრს თამაშობს და მისი კომბინაციური იარაღი მუდამ გალესილია.

ამიტომ მ. ბოტვინიკს მ. ტალთან, რომელსაც უცხოეთში შეაჯიქს უწოდებენ, თამაში დიდად გაუჭირდა. მ. ბოტვინიკი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია და გატაცებულია თავისი მეცნიერული მუშაობით. ამის გამო იგი ჩამორჩა საჭადრაკო პრაქტიკას, დაუჩლუნგდა ბრძოლის ხელოვნება და ვერაფერს გახდა ტალის ზოგჯერ ტემპერამენტთან და ზოგჯერ, პირიქით, დარბაისლურ თამაშთან.

23 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მ. ტალი ბრწყინვალედ გამოვიდა ფართო საჭადრაკო სარბიელზე. მის წინ შემოქმედების ვრცელი ასპარეზია. მისგან ბევრს მოელის საჭადრაკო სამყარო.

თენგიზ გიორგაძე

ჭადრაკი



მსოფლიოს ახალი ჩემპიონი

თან. ეს ცხადყო მათმა ორთაბრძოლამ. პირველივე პარტია მ. ტალმა მოიგო და ამასთან ერთად მ. ბოტვინიკს ფსიქოლოგიური ტრავმა მიაცენა. მომდევნო ოთხ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი მძაფრად უტევედა, მაგრამ ვერც ერთი პარტია ვერ დაამთავრა თავის სასარგებლოდ. ამის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მას ღირსეულ მეტოქესთან ჭკონდა საქმე. თუმცა, შემდეგ მ. ბოტვინიკმა ორი პარტია მოიგო, მაგრამ წააგო ექვსი და უკვე 21-ე

დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტულ სამყაროში ჩვენი დროის გამოჩენილი მოჭადრაკეების მიხეილ ბოტვინიკისა და მიხეილ ტალის მატჩმა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობისათვის. მთელი მსოფლიოს პრესა გაცხოველებულ კომენტარებს უკეთებდა ორთაბრძოლაში მეტოქეების შანსებს. უმრავლესობას არ სჯეროდა მ. ტალის გამარჯვებისა, რადგან ცოცხლად ახსოვდათ მ. ბოტვინიკის ბრწყინვალე თამაში ოცდაათი წლის მანძილზე. მაგრამ ისინი მაინც მაღალ შეფასებას აძლევდნენ რიველი გროსმაისტერის ნიჭს. ამიტომ მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა მ. ეივემ მატჩის წინ განაცხადა: გამარჯვებულის გამოცნობა შეუძლებელია მაშინაც კი, როცა ერთ-ერთ მხარეს შეიძლება ქულობრივი უპირატესობაც ჭკონდესო.

ორი თვე გრძელდებოდა „საუკუნის მატჩი“, — ასე მონათლეს ჟურნალისტებმა ორი მიხეილის ორთაბრძოლა. მაისის დამდეგს მსოფლიო ალტაცებით შეეგება საჭადრაკო სამეფოს ტახტზე ახალი ჩემპიონის — მიხეილ ტალის — ასვლას. იგი საზეიმოდ შეამკეს მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით.

გაოცებული გროსმაისტერები, სპორტული მიმომხილველები, მ. ბოტვინიკის გულშემატკივარნი კითხულობდნენ: როგორ მოხდა, რომ მ. ტალმა მატჩი შთამბეჭდავი ანგარიშით 12,5:8,5-ზე მოიგო, განა იგი ასე ძლიერია? ბოლოს და ბოლოს, რაშია ამ უჩვეულო ჭაბუკის ნიჭიერება? რატომ იგებს იგი ადვილად?

მან, ვინც ვერ გასცა პასუხი ამ შეკითხვებს, მოკლედ მოჭრა: ტალი გენიოსიაო! ზოგი შეეცადა მისი თამაშის განმარტებას. მაგრამ ისინიც არა ობიექტური იყვნენ. მიაწერდნენ მ. ტალს ჰიპნოზს, თითქოს იგი თვალებით ზემოქმედებდეს მოწინააღმდეგეებზე. ამიტომ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ურჩევდნენ მ. ბოტვინიკს შავი სათვალეების გაკეთებას.

მ. ბოტვინიკი დამარცხდა მასზე ახალგაზრდა და ძლიერ მეტოქეს-

იცი თუ არა?

რა იწვევს ჭექა-ქუხილს

რატომ ვეითლდება ფოთლები

ოქტომბერი დადგა. თქვენ მოულოდნელად შეამჩნიეთ, რომ ეზოში ჭადარს ფოთლები გაუყვირდა. რატომ გაყვირდა ფოთლები? იგი ხომ მთელ ზაფხულს მწვანე იყო?

ვინც ბოტანიკა ისწავლა, ალბათ ემახსოვრება, რომ ფოთლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სიცოცხლისათვის მეტად საჭირო ნივთიერება ქლოროფილი.

ქლოროფილი მწვანეა და თავისი სიმწვანით იგი ფოთოლსაც ამწვანებს.

ქლოროფილის მარცვლები თავისებური ბუნებრივი ფაბრიკა-სამზარეულოა, სადაც იქმნება უსაჭიროესი საკვები ნივთიერებები. ეს ცოცხალი ფაბრიკა მხოლოდ სინათლეზე მუშაობს.

მაგრამ, აი, დადგა შემოდგომა. დღე დაპატარავდა, მზის შუქმა ძალა დაჰკარგა. თანდათან სწყვეტს თავის შრომას სიცოცხლის საოცარი ფაბრიკაც—ქლოროფილი. იშლება მისი მარცვლები. მაგრამ ფოთოლში ამ ნივთიერების გარდა, კიდევ არის სხვა ფერადი ნივთიერებაც. ზაფხულში მწვანე ფერს იგი ვერ ერევა, ახლა კი სულ უფრო და უფრო ეძალება, ჯაბნის მწვანე ფერს—ქლოროფილებს და ფოთოლი ყვითელ ფერს ღებულობს.



ჭექა-ქუხილი ატყდა. ღრუბლებმა დაფარეს ცა. აი, ღრუბლებს შორის თვალისმომჭრელად დაიგრიხა ელვა, აინთო და ცოტა ხნის შემდეგ გრგვინვით გადაეწო მთა-ველს.

ამბობენ, ჭექა-ქუხილის მიზეზი ღრუბელიაო. მართალია, მაგრამ თვითონ ღრუბელი რაღა არის, როგორ ჩნდება იგი?

დედამიწიდან ცაში განუწყვეტილად აღის ორთქლად ქცეული წყალი. ეს ორთქლი მალეა ცივდება და წყლის წვეთებად იქცევა, მილიარდობით



წყლის პატარა წვეთების ნაწილაკებია სწორედ ღრუბლები. ღრუბლებს რომ ქვემოდან უყურებ, გგონია, რომ იქ, მალეა მთლად სიმშვიდე და მყუდროებაა. ან რა ხმაური უნდა გამოსცეს წყლის წვეთებმა? სინამდვილეში კი წყლის ნაწილაკები გამუდმებულ მოძრაობაში არიან, გამალებით დაჰქრიან ზემოთ—ქვემოთ, მოძრაობის დროს განუწყვეტილად ეხლებიან ერთმანეთს და ელექტროობით იმუხტებიან. ხახუნი რომ ელექტროობას აჩენს, ეს ხომ ყველასთვის ცნობილია. სცადეთ სიბნელეში თმაზე გადაისვათ პლასტიკის სავარცხელი. ხახუნის გამო ელექტროობა წარმოიშობა და პატარა ნაპერწკლებს დაინახავთ.

ამის მსგავსი ამბავი ხდება ღრუბლებშიც. ერთი ღრუბელი დაიმუხტება დადებითი, მეორე უარყოფითი ელექტროობით, მათი ერთმანეთთან ხახუნით და შეჯახებით წარმოიშობა უზარმაზარი ნაპერწკალი, ეს არის

სწორედ ელვა. ელვა ძალზე ახუნტებს თავის ახლოს ჰაერს. ჰაერი—ფარდისებურად და ხდება აფეთქება. ეს კი ქუხილია, რომელიც ჩვენ გაეღვივებინა რამდენიმე სეკუნდის შემდეგ გვესმის რადგან სინათლე ბევრად სწრაფია ბგერაზე და იგი უფრო მალე აღწევს ჩვენამდე.

რატომ გვათბობს ტანსაცმელი

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე საჭიროა ვიკითხოთ: ვითომ მართლა გვათბობს ტანსაცმელი? მართლაც და, სინამდვილეში პალტო კი არ ათბობს ადამიანს, არამედ ადამიანი ათბობს პალტოს. ან როგორ შეიძლება სხვაგვარად იყოს—პალტო ღუმელი ხომ არ არის, რომ თავისი სითბო ჰქონდეს. «მაშ, ადამიანი ხომ არ არის ღუმელი?»—გაიფიქრებთ თქვენ. არ გაგიკვირდეთ! ადამიანი მართლაც ღუმელია, თავისებური ღუმელი, ხოლო საჭმელი, რომელსაც ჩვენ ვჭამთ—საწვავია, რომელიც ჩვენს ორგანიზმში იწვის. მართალია ამ წვის შედეგად ალი არ ჩანს, მაგრამ სითბო, რომელსაც ჩვენ სხეულში ვგრძნობთ, ორგანიზმში მიმდინარე წვის პროცესის შედეგია. ეს სითბოა სწორედ, რომელსაც ადამიანი ასე უფრთხილდება. იმისათვის, რომ ეს სითბო არ დაიკარგოს, ადამიანი აშენებს სახლებს, იცვამს ტანსაცმელს. იმის ნაცვლად, რომ ორგანიზმით გავათბოთ ჰაერი ოთახში თუ ოთახს გარეთ, ჩვენ ვათბობთ ტანსაცმელს, რომელიც სითბოს ორგანიზმთან ახლოს აკავებს, გარეთ არ უშვებს. ასე რომ, ტანსაცმელი მხოლოდ საზღვარია სხეულსა და ჰაერს შორის.

რ. ნებიერიძე




საყოველთაოდ ცნობილია დიდი ქართველი პედაგოგისა და საზავშ-
ტო მწერლის იაკობ გოგებაშვილის მიერ ბავშვებისათვის დაწერილი მე-
ტად საინტერესო მოთხრობა «მეფე ერეკლე და ინგილო ქალი». ამ მოთ-
ხრობაში მოყვანილი ამბავი, თვითონ ავტორის გადმოცემით, ხალხური
თქმულებიდან მომდინარეობს. «ეს ამბავი ქლიავის სროლისა ჩვენი მო-
გონილი არ არის, ხალხის თქმულებას შეადგენსო»—წერდა მწერალი.

ეს ხალხური გადმოცემა მეფე ერეკლესა და ქართველ გოგონას შე-
სახებ ხალხში ჩუწერია გასული საუკუნის ქართული კულტურის მოდ-
ეაწესა და მწერალს—ნიკოლოზ გამრეკელს, რომელსაც იგი გიორგი
ერისთავის მიერ დაარსებულ ჟურნალ «ცისკარში» დაუბეჭდია 1858
წელს, ასეთი სათაურით: «სულგრძელობა საქართველოს მეფის ირაკლი
მეორისა».

აი, ეს თქმულება:
«საქართველოს მეფე ირაკლი მეორე ერთ ხანს სპარსეთში იყო. იქ
მან მიიღო ჩვეულება: თავზე სპარსულ ქუდს იხურავდა, წელზე კი შალს
შემოიკრავდა ხოლმე. ერთი შეხედვით იგი სპარსელს ჰგავდა. ეს გარე-
მოება გახდა მიზეზი ერთი საოცარი შემთხვევისა; ერთ ზაფხულს
დროს ირაკლი მეფემ გაიარა ქალაქ სიღნაღის ახლო სოფელ ვაქირში.
რამდენიმე წამს შეეფარა დიდფოთლიან ლეღვის ჩრდილში. ხე მწიფე
ლეღვით იყო დახუნძლული.

ერთი ყმაწვილი ქალი, დამალული ლეღვის ფოთლებში, კრეფდა
ლეღვს. ამ დროს მან დაინახა სპარსულ ტანსაცმელში ვიღაც კაცი, დაუ-
წყო დაცინვა. მან არ იცოდა რუ იგი მეფე ერეკლე იყო. მეფემ ამის
გაგონებაზე არაფერი თქვა: არც მუქარა და არც დაყვიერება. ამან
გათამამა პატარა გოგონა. მანამდე მეფე ხის ქვეშ იმყოფებოდა. ვერა-
ფერი გაბედა და როდესაც ცოტას გასცილდა, აიღო ერთი მუჭა მწიფე
ლეღვი და სტყორცნა მეფე ირაკლის კეფაში. მეფის მხლებლები ამაზე
განცვიფრდნენ და დაუწყეს დამნაშავეს ძებნა. მწიფე ლეღვის ხის ფოთ-
ლებში გამოჩნდა სახე პატარა გოგონასი, რომელსაც ხის ტოტზე კალა-
თი ედგა. გოგონას დახეული ტანსაცმელა ეცვა, ზრდილი და დიდსუ-
ლოვანი მეფე ირაკლი მშვიდად გაემზავრა თავის გზაზე.



მელიც დიდი ხანია რაც მოხდა, თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას
შემდეგ».

ახლა ვნახოთ, რას წერს. იაკობ გოგებაშვილი. «ერეკლე მეფე შე-
მოვიდა ერთ განიერ ორღობეში, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული
იყო ღიღორი ვენახები და ბაღები, საველე დამკრახული და ღებრაწული
ხილითა. უცბე მეფეს თავზე ვიღაცამ გადმოაყარა ზემოდან მთელი ბლუ-
ჯა ქლიავი. გაოცებულმა მეფემ თავისი ბედაური შეაყენა. გაჩერდა ჯა-
რიცა. მიხედ-მოიხედეს და იქვე ვენახის ღობესთან დაინახეს ვეებერ-
თელა ქლიავის ხეზედ თორმეტობედ წლის ინგილო გოგონა, რომელსაც
ქლიავი ესროლა მეფისათვის. მეფის მხლებელნი წამსვე ჩამოიჭრნენ ცხე-
ნებიდან, აცვიფდნენ ღობეზე და შეპყვირეს პატარა ქალსა:—«შე ბრიყო,
შე საძაგელო, ეს რა ჰქენი, მეფე ერეკლეს თავზე ქლიავის გადმოყრა
როგორ გაუბედავი, ჩამო ეხლავე ხიდან და ბოდიში მოითხოვე მეფის წი-
ნაზე, თორემ შავი დღე დაგადგება!».

როგორც ჩანს, მწერალს თავის მოთხრობის მოქმედების ადგილი
კახეთიდან საინგილოში გადაუტანია. ვაქირელი გოგონა ინგილო ქალად
უქცევია, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. მწერლისათვის ასეთი ხერხი
ბუნებრივია. მეტად საინტერესოა ნ. გამრეკელის მიერ ჩაწერილი ხალ-
ხური თქმულების ზოგიერთი ცნობა. ამ თქმულებაში შემონახულია რო-
გორც ვაქირელი გოგონას სადაურობა, ისე მისი სახელიც, მას სახელად
ტასო რქმევია (სამწუხაროდ, დღემდე მისი გვარი არა ჩანს), აქედანვე
ვიციტ ისიც, თუ რომელ წლებში უცხოვრია ტასო ვაქირელს. თქმულება
მოგვითხრობს, რომ ეს ამბავი მოხდარა 1770 წელს. ი. გოგებაშვილის
მოთხრობაშიც სწორედ ეს დრო არის დასახელებული. მწერალი წერს:
«ამის შემდეგ განვლო კიდევ ოცდახუთმა წელმა კრწანისის ველზე,
თბილისის ძირში საშინელი ომი იყო». საქართველოს ისტორიიდან კი
ცნობილია, რომ კრწანისის ომი 1795 წელს მოხდა.

სანაქებო ტასო ვაქირელს დიდხანს უცოცხლია. ირკვევა რომ ეს
ამბავი ნ. გამრეკელისათვის თვითონ მას უამბნია. ამაში გვარწმუნებს
თქმულების ერთი ადგილი. «საკვირველება და შიში ხარობდა მოხუცე-
ბულ დედაკაც ტასოს სახეზედ, როდესაც ის მოიგონებდა ხოლმე სიცელ-
ტეს ყმაწვილობისას, უმეცრად მეფის წყენასა და წითლდებოდა ამაზედ,
რომელიც დიდი ხანია რაც მოხდა. თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას
შემდეგ».

ტასო ვაქირელი მოესწრო კრწანისის ომს და მისთვის საყვარელი
მეფის ირაკლის სიკვდილსაც. ტასო ვაქირელის შვილებს მონაწილეობა
მიუღიათ კრწანისის გმირულ ბრძოლებში.

ტასო ვაქირელის მიერ მოთხრობილი თქმულება ნ. გამრეკელს ჩა-
უწერია მე-19 საუკუნის შუა წლებში. მასშასადამე, ტასო ვაქირელს
უცოცხლია თითქმის ას წლამდე, თუ მეტი არა.

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილის საზავშე მოთხრობა «ერეკლე
მეფე და ინგილო ქალის» მოქმედი გმირი გოგონა ტასო ვაქირელი ყო-
ფილა და ეს ამბავი ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება.

ტასო ვაქირელი

ეს ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო. გოგოს დედ-მამა ძალიან
უჯავრდებოდნენ შვილს მეფისთვის ასე მოქცევის გამო. მათ იფიქრეს
პატიება ეთხოვათ მეფისათვის.

სოფელ საქობოში მეფის გარშემო ხალხი შეკრებილიყო. გოგონას
მამაც იქით გაემართა. იგი მეფემ მიიღო და მოუსმინა: «ერთი ქალი
მყავს და იმისგან ვიყავი მრავალჯერ შერცხვენილი, ხოლო ეხლა სუყ-
ველა წყენას გადააჭარბა და ყველაზე საგრძნობი იყო თქვენი წყენა.
მე თავზარი დამცა თქვენა წყენამ, თქვენმა კაცთმოყვარობამ და სულ-
გრძელობამ გამაბედინეს თქვენთან სათხოვნელად მოსვლა. ნუ გაგვიწყ-
რებთ და აპატიეთ სიცელტე ჩემს ყმაწვილ ქალსა. მან არ იცოდა, ამით
გამართლება აქვს. ხომ მოგესხენებათ, არა ცოდნა არა ცოდვა არისო».


ამის გაგონებაზე მეფეს სახეზე მხიარულება გადაჟვინა, შეიწყნარა
მოხუცი კაცი და გაამხიარულა. მისცა რამდენიმე თეთრი ფული და სი-
ცილით უთხრა: «უთუოდ ხეზე ბლაძუნითა უხეგია შენ ქალს ტანისა-
მოსი, წადი და იმ შენ ცელტე, ანც გოგოს უყიდე ამის საცმელი».

მთელი სოფელი მოელოდა ცელტი გოგოს მამის უკან მოსვლასა და
ამის მოტანას. როდესაც მოვიდა, ხალხი გარს შემოეხვია და ჰკითხავდ-
ნენ: მეფე ხომ არ გაგიწყრა. იგი უპასუხებდა: «მედნიერება და დღე-
გრძელობა მისცარს ღმერთმა ჩვენ მეფესა და პატრონს, რადგან ასეთი
სულგრძელი გვეყავსო. მისი გული აღვსილია ჩვენს მიმართ სიყვარული-
თა. არა თუ დამსაჯა, არამედ დამასაჩუქრა და წყალობით გამოიმს-
ტურა».

ამ გარემოებამ დანერგა დაჯილდოებულის გულში გამოუცდელი
გრძნობა მადლობისა. საკვირველება და შიში ხარობდა მოხუცებულ
დედაკაც ტასოს სახეზედ, როდესაც ის მოიგონებდა ხოლმე სიცელტეს
ყმაწვილობისას, უმეცრად მეფის წყენასა და წითლდებოდა ამაზედ, რო-

რაჯა მენავე

(ინდური თქმულება)



ძველად ინდოეთში ცხოვრობდა ძლიერი და მდიდარი რაჯა. ერთხელ ძალიან ავად გახდა. ქვეყნის ყოველი კუთხიდან სასახლეში მოვიდნენ მკურნალები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ავადმყოფი დღითხ დღე უარესად იყო.

ერთხელ სასახლეში მოვიდა ერთი ბრძენი მოხუცი და უთხრა რაჯას:

— მე მოგარჩენ, ოღონდ გასამრჯელოდ იმდენი ოქრო მომეცი, რამდენსაც შენი ყველაზე დიდი სპილო აიწონისო.

რაჯა შეპირდა, რომ გამოჯანმრთელების მერე მისცემდა იმდენ ოქროს, რამდენსაც მისი ყველაზე დიდი სპილო აიწონდა.

რამდენიმე დღე გავიდა. რაჯა გამოჯანმრთელდა. ახლა ანგარიში უნდა გაეწორებინათ. მაგრამ როგორ გაეწორებინათ? სად ეშოვათ ისეთი დიდი სასწორი, რომელზედაც რაჯას ყველაზე დიდ სპილოს ასწონდნენ და მერე იმდენსავე ოქროს. რაჯას ბრძანებით ინდოეთის ყველა კუთხიდან სასახლეში მოიწვიეს ბრძენი და სწავლული ხალხი. დიდ ჯილდოს შეპირდა რაჯა, ვინც ამას მოიფიქრებდა.

სამი დღე და ღამე იფიქრეს და ვერაფერი მოიფიქრეს.

მეოთხე დღეს სასახლესთან ერთი ლატაკი მოვიდა და ითხოვა რაჯასათვის მოესხნებინათ, მე შემიძლია უსახსროდ ავწონო რანაირი სპილოც არ უნდა იყოს და სპილოს წონის ოქროსაც ავწონო.

სასახლის მცველებმა სცემეს ლატაკს და გააგდეს. „თუ სასახლის სწავლულებს, ბრძენებს ვერაფერი მოუსაზრებიათ, ამ ჭუჭყიან გლეხს რისი გაკეთება შეუძლიანო!“—ამბობდნენ სასახლის მცველები.

რაჯამ ყური მოჰკრა უყანს, მცველების უფროსს უხმო და ჰკითხა: ეროში რა ამბავიაო

— ჰოი, დიდებულმა რაჯა,—მოახსენა მცველების უფროსმა,—ახლანხან ვიდეც გიჟი მოვიდა და გვიოხრა, მე შევძლებ სპილოს და მის წონა ოქროს აწონასო. ტყუილა, მაშ რა იყო! და გავაგდეთ ეროდან.

სასწრაფოდ დააბრუნეთ და ჩემთან მოიყვანეთ ის ლატაკიო, ბრძანა რაჯამ. ბრძანება უმალ შესრულეს.

რაჯა ტკბილად შეხვდა ლატაკ მოხუცს და ვინაობა ჰკითხა.

— მენავე ვარ,—მიუგო უცნობმა,—ჩემი ნავით გადამუყვს ხალხი განგის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე, თავსაც და ოჯახსაც ამით ვარჩენ. შეიძლება სულ ადვილად ავწონო თქვენი სპილო, მერე კი იმავე წონის ოქროსო.

— როგორ მოახერხებ ამასო?—ჰკითხა გახარებულმა რაჯამ.

— დიდებულმა რაჯა,—მიუგო მენავემ,—ახლავე თქვენი თვალით ნახავთ როგორ მოვახერხებ. უბრძანეთ ოღონდ სპილოების გამრეკს თქვენი სპილო მოიყვანოს მდინარესთან, სადაც ჩემი ნავია მიბმული.

რაჯამ უბრძანა სპილოების გამრეკს მენავის თხოვნა შეესრულებინათ, თვითონ კი სწავლული და ბრძენი ხალხის თანხლებით ამ არაჩვეულებრივი სანახაობის საყურებლად გაეშურა.

მოიყვანეს სპილო მდინარის პირას, მენავემ თხოვა, სპილო ნავზე შეეყენებინათ.

როცა სპილო ნავზე შეაყენეს, ნავი სიმძიმისაგან დაიძრა, მენავემ ცარცი აიღო, ჩავიდა წყალში და ნავს გარედან გააყულა ხაზი, სადამდეც ნავს წყალი ადგებოდა. მერე სპილო ნაპირზე გამოიყვანა და თქვა:

— ახლა უბრძანეთ ნავი ოქროთი დატვირთონ.

ნავზე ოქროს ზოდები დააწყეს და უმატებდნენ და უმატებდნენ მანამ, სანამ აღნიშნულ ხაზამდე არ ჩაიძირა ნავი.

—აი, ახლა ოქროც იმდენივეა, რამდენსაც სპილო იწონის,—თქვა მენავემ.

ყველა გაოცებული დარჩა ლატაკი მენავის ასეთი მოხერხებულობით და საზრიანობით. დიდებულმა რაჯამ უბრძანა ხაზინადარს მიეცათ მენავისათვის ათათასი ოქროს რუპია და სასახლეშიც მიეწვიათ.

თარგმნა ნ. თოფჩიშვილმა

დაუპატიჟებელი სტუმრები

პარიზის ხელისუფალნი შეაფოთა ახლახან ქალაქში გამოჩენილმა ტერმიტებმა, რომლებიც თხრიან ქანებს და ხრავენ ყველაფერს. განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნიან ქალაქის ძველ ნაგებობებს და არქიტექტურულ ძეგლებს. ტერმიტები, ანუ თეთრი ჭიანჭველები, საფრანგეთში გამოჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს ტროპიკულ ქვეყნებიდან. ამ დროიდან დაწყებული, მათ ცოტა ზარალი როდი მიაყენეს ქალაქის დეპარტამენტების ნაგებობებს.

თეთრი ჭიანჭველები პარიზში პირველად ნახეს 7 წლის წინათ, აუსტერლიცის სადგურის რაიონში, სენ-ჟენევიევის ბიბლიოთეკის მახლობლად. ფიქრობენ, რომ მწერები შემოჰყვა თან ქალაქის უძველესი არქივის დოკუმენტებსა და წიგნებს. ისინი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ აგრეთვე რკინიგზის მორებში, რომელთაც შეშის მაგივრად არიგებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მავნე მწერების არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს, სპეციალისტებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიხატეს მათთან საბრძოლველი რადიკალური საშუალებები.

ძირს დაწოლილი ქალაქი

ახლახან გამოიჩნდა, რომ მექსიკის ზოგიერთი რაიონი 7 მეტრით დაბლა დაწეული 70 წლის წინანდელთან შედარებით, დაწეული 7 მეტრიდან 6 მეტრამ დაიწია 30 წლის განმავლობაში. სპეციალისტების აზრით ამისი მიზეზი უნდა იყოს ქალაქ მეხიკოს მოსახლეობის სწრაფი ზრდა. საქმე იმაში როდია, თუ რამდენს იწონიან ისინი, არამედ იმაში, რომ ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ხარჯავს ბევრ წყალს, რომელსაც იგი მიწისქვეშაიდან იღებს. წყალგამტარი ქანები კი, რომლებიც მიწისქვეშა განლაგებული, დროთა ვითარებაში გამოიფიტა და გრუნტმა დაიწყო დაბლა დაწევა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა ტოკიოში, სადაც მიწამ 3 მეტრზე დაიწია. გრუნტის დაწევა იაპონიის დედაქალაქში გამოწვეულია წყლის უკონტროლო ხარჯვით საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საჭიროებისათვის.




სპილო მანკანით სეირნობს

ერთმა ოჯახმა გადაწყვიტა კატასთან და ძალღთან ერთად სპილოც მოეშინაურებინა. პატარა სპილო—როზი დღეში 10 კილოგრამ ბანანს, 5 კილოგრამ ვაშლს სჭამს. ამას ემატება წვნიანი—რამდენიმე ლიტრი რძე. ამ სურათზე თქვენ ხედავთ, პატრონი როგორ ასეირნებს როზის მსუბუქი მანქანით.



თეატრი ბრუნავს

თეატრის სცენაზე დეკორაციების მოწყობა ოდითგანვე სცენისმოყვარულთა დიდი საზრუნავი იყო. მაგრამ დეკორაციას არ ძალუძს ცის ნამდვილი სილურჯის ან მცენარეთა ბუნებრივი სიმწვანის გადმოცემა. ღია თეატრის მოწყობაც არ წყვეტს საკითხს: მიწის ხომ ვერ მიაბრუნ-მოაბრუნებენ, რომ სცენას სხვადასხვა ფონი შეუქმნან.



ეს პრობლემა გონებამახვილურად გადაწყვეტის ფინელმა არქიტექტორებმა. ვასილ წელს მათ ააგეს რვაასადგილიანი თეატრი, რომელიც მთლიანად ბრუნავს. თეატრის გარშემო გაშენებული პარკი საშუალებას იძლევა დეკორაციების ათობით ვარიანტები მოიძებნოს.

პირველი რუსული ატლასი

დაბეჭდილი გეოგრაფიული რუკები პირველად გამოჩნდა რუსეთში XVIII საუკუნეში. ატლასები კი ჯერ კიდევ არ იყო. 1734 წელს ნიჭიერმა რუსმა გეოგრაფმა ი. კ. კირიკოვმა პირველმა გამოაქვეყნა 14 რუკისაგან შემდგარი ატლასი, რომელთა შორის, რუსეთის ცალკე ნაწილების გარდა, იყო მთელი რუსეთის ვრცელი რუკა. გამოცემულს განსაზღვრული ჰქონდა გამოეცა გეოგრაფიული ატლასების 360 რუკისაგან შემდგარი სამი ტომი, რის სისრულეში მოყვანა მან მთლიანად ვერ შესძლო, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს ატლასები გამოქვეყნდა, მეტად ძვირფასსა და საინტერესო შენაძენს წარმოადგენდა. პირველი რუსული ატლასი იძლეოდა საინტერესო ცნობებს რუსეთის გეოგრაფიაზე და წარმოადგენდა კარტოგრაფებისა და გეოგრაფებისათვის ძვირფას სახელმძღვანელოს.

ნადირობა... დასაძინებელი წამლის დახმარებით

ვინ არ იცის, მგლები ადამიანს რამდენ ზარალს აყენებენ. მგლების ოჯახს ზაფხულობით ემატება ლეკვები, რომლებიც ზამთარში უკვე მოზრდილები არიან და თხოულობენ ბევრ საჭმელს. ტყუილად როდი ამბობენ, მგლის მადო. მგლის ორ ლეკვს მთელი ცხვარი ძლივს ჰყოფნის სადილად. ზამთარში მათთვის ძნელია საჭმლის შოვნა იმიტომ რომ, ზამთარში ტყის ყველა ბინადარი ბუნაგშია დამალული. და აი, დაძრწიან მგლები ხროვად სოფლიდან სოფლად

ნადავლის საშოგენლად, თავს ესხმინან მგზავრებს, ძვრებიან გომურებში და ყელს ღადრადვენ შინაურ ცხოველებს. ძველთაგანვე ხალხი გააფრთხულ ბრძოლას ეწევა ამ საშიშ მტაცებლებთან, მაგრამ მათი წინააღმდეგობა ადვილი როდია. მგლები მეტად ფრთხილები, მოქნილები და ეშმაკები არიან. მონადირე ძალიან მოხერხებული უნდა იყოს, რომ დაამარცხოს მგელი.

ამიტომ მოსკოვის სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციის მუშაკებმა დაიწყეს მგლებზე არაჩვეულებრივი ხერხით ნადირობა: ისინი მგლის მისატყუებლად იყენებენ ხბოს ხორცს, რომელსაც წასმული აქვს ძილისმომგვრელი საშუალება. მგლები არ გრძნობენ საშიშროებას და მიესევან ხორცს, მაგრამ ჩქარა იძინებენ. ასე, ძილის მდგომარეობაში, ათავსებენ მათ გალიეში. მგლის ჭერის ეს ხერხი განსაკუთრებით მოხერხებულია მისი ცოცხლად დასაჭერად.

მოშინაურებული პიტონი

რამდენიმე წლის წინათ, კუნძულ ფლორესიის ერთმა მცხოვრებმა დაიჭირა პატარა პიტონი. ინონეზიელმა დაიწყო მისი წვრთნა, რძითა და ხელით კვება.

და აი, პიტონი უზარმაზარ გველად გადაიქცა. ექვსი მეტრი სიგრძისა და ასორმოცი კილოგრამი წონის მიუხედავად, იგი საცხებით მოშინაურებული, წყნარი და უგნებელი ქვეწარმავალია. მეტიც, იგი გამზრდელის დამხმარეც კი გახდა... სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. პიტონი იოლად ადის მაღალ ხეებზე და ბერტყავს მწიფე ნაყოფს.



წიგნის სამყაროში

ეგვიპტეში, მდინარე ნილოსის ნაპირას, რამზეს მეორის აკლდამაზე ამოკვეთილია მსოფლიოში ყველაზე დიდი „წიგნი.“ მისი „გვერდების“ სიგანე 40 მეტრია. ესაა საბრძოლო გამარჯვებათა ძველი მატრიანე, რომელიც 3.000-ზე მეტი წელია დროის დამანგრეველ მოქმედებას უძლებს.

მეორე წიგნი — გიგანტი დიდი ყურანია. იგი დაწერილია 1403 წელს. ყურანი ინახებოდა სამარყანდის მეჩეთში. შემდეგ წიგნი გაქრა. მაგრამ მისი სიდიდეზე მსჯელობა შეიძლება იმ ანაბეჭდით, რომელიც წიგნმა დატოვა: წიგნის სიამდე 2 მეტრი და 25 სანტიმეტრია, სიგანე კი 2 მეტრი.

მესამე წიგნი — გიგანტი „ყველა წიგნის საკვირველებათა შენაერთის“ სახელითაა ცნობილი. იგი ინგლისის მეფის — კარლოს მეორის ატლასია. მისი სიმაღლეა 176 სანტიმეტრი, სიგანე 87 სანტიმეტრი. ეს გიგანტი ატლასი დაბეჭდილია XVII საუკუნეში.

სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა XV საუკუნის ხელნაწერი ყურანი, ზომით 20x80 სანტიმეტრი. მისი წონა 80 კილოგრამზე მეტია.

მაგრამ გიგანტური წიგნების გარდა არსებობს კიდევ ე. წ. ნამცეცა

წიგნები. ისინი სავსებით ამართლებენ ამ სახელწოდებას. მათი წაკითხვა შეუიარაღებელი თვალით ყოვლად შეუძლებელია. მათი სიდიდე ჩვეულებრივი საფოსტო მარკის ნახევარს უდრის. სწორედ ასეთი ზომისაა გალილეის ნაწარმოებთა მინიატურული კრებული.

მსოფლიოში ცნობილია აგრეთვე შემდეგი მინიატურული წიგნები: „ინგლისური ენის ლექსიკონი“ 12 ათასი სიტყვით, „ახალი აღთქმა“, რომელიც 1296 წლამდე ყველაზე პატარა წიგნად ითვლებოდა მსოფლიოში, ფრანგული და გერმანული საძიებლები, მოსეის კანონების წიგნი, რომელიც დაბეჭდილია ძველებრალ ენაზე, ინდური წიგნი „გიტა“, ირლანდიური და შოტლანდიური სიმღერების კრებული ნოტებით, საფრანგეთის კონსტიტუცია, ლინკოლნის სიტყვათა კრებული. სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება 3x4 სანტიმეტრი ზომის ყურანი, რომელიც 100 გრამს იწონის.

პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია მსოფლიოში უძველესი წიგნი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3.350 წლის წინათა დაწერილი პაპირუსზე.

ყველაზე მდიდარ ბიბლიოთეკად მსოფლიოში ითვლება ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, სადაც 19 მილიონი წიგნია. ვაშინგტონის კონგრესის ბიბ-

ლიოთეკა 10 მილიონ წიგნს ითვლის. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ცნობილი ბიბლიოთეკა — ინდოეთის მალაქ ამრისტარეში, სადაც მხოლოდ ერთი წიგნია მოთავსებული. ეს წიგნია ხალხთა საღმრთო წიგნი, რომელიც მარმარილოთი და ოქროთი მოპირკეთებულ შენობაში ინახება.

არანაკლებ საინტერესოა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა ლონდონში. დღემდე ზუსტად არავინ იცის, თუ რამდენი წიგნია მის თაროებზე. ვარაუდობენ, რომ ამ თაროთა სიგრძე 60 მილს აღწევს. ბიბლიოთეკის სრული კატალოგის შედგენა 1831 წელს დაიწყო. სპეციალისტების აზრით, იგი 2036 წელს უნდა დამთავრდეს. ამ დროისათვის წიგნის თაროთა საერთო სიგრძე 80 მილს მიაღწევს.

ალბათ ბევრმა თქვენგანმა არც კი იცის, რომ წიგნის ფორმა მარტო სწორკუთხეობანი არაა. გასპარ მიოზერის მიერ 1590 წელს დედოფალ საქსონელისათვის დამზადებულ წიგნს გულის ფორმა აქვს; ტყავის ყდაში, ოქროსფარავანი ნატიფურით, მოთავსებულია ორი წიგნი; ლოცვანი და რჩევანი დიასახლისისათვის. არსებობს აგრეთვე იშვიათი ეგზემპლარი მინიატურული ყურანისა, რვაკუთხედის ფორმით. წიგნი შექმნილია სპარსულ ენაზე, დაწერილია მიკროსკოპული ასოებით. მისი გვერდების ზომა მხოლოდ 4 სანტიმეტრია.

მასწავლებელი კლასში მნათობთა შესახებ ლაპარაკობდა: ისე დიდია მთვარე, რომ მრავალი მილიონი კაცი ზედ თავისუფლად იცხოვრებსო.

პატარა ბიჭმა გაიციანა.
— რა გაციენს? — ჰკითხა მასწავლებელმა.
— წარმომიდგენია, რა ჰქვლიდა იქნება, როცა მთვარე ნამგალივით გაიღვება.

— მაშეო, შეგიძლია დახუჭული თვალებით გვარი მოაწერო?
— რატომაც არა.
— მაშ, თვალები დახუჭე და დღიურზე ისე მოშიწერე ხელი.

მასწავლებელმა კლასს საშინაო დავალება მისცა თემაზე: «რა არის სიზარმაცე?» მეორე დღეს შეამოწმა დავალების შესრულება. გადამალა ფრიცის რვეული, — პირველი გვერდი სუფთაა, მეორეც სუფთაა, მესამე გვერდზე წერია: «ეს არის სიზარმაცე».

გერმანულიდან თარგმნა ი. ხუციშვილმა

წიგნების სამყაროში

მისტერ სმიტს ფოსტაში ბანდეროლი აუწონეს და უთხრეს: — თქვენი ბანდეროლი ძალიან მძიმეა, საჭიროა დაუმატოთ მარკა.



— როგორ თუ დაეუმატო, — იღრიალა სმიტმა, — იგი ხომ უფრო დაამძიმებს მას?

სწორი პასუხი

მასწავლებელი: — ჯიშ, რომელ ორ სიტყას ხმარობენ ყველაზე ხშირად მოსწავლეები?

ჯიშ: — არ ვიცი.

მასწავლებელი: — სწორია! დაჯექი.

საჰამარო ბუშტი

თვალცრემლიანმა ტომმა ასტრონომს მიმართა:

— ძია, თქვენი ტელესკოპით ყველაფრის დანახვა შეგიძლიათ ცაზე?

— ყველაფრის, ჩემო ბიჭეო.

— მაშ, მომიძებნეთ ის საჰაერო ბუშტი, მე რომ გამიფრინდა დღეს დილით.

ინგლისურიდან თარგმნა ი. იანაშვილმა

გამოცანა წრე-ხაზი


ქვემოთ მოცემული კითხვების მიხედვით მოძებნეთ 38 ხუთი ბგერისგან შედგენილი სიტყვა და ჩაწერეთ წრე-ხაზის უჯრედების შესაფერ ნომრებში.

თუ სიტყვებს სწორად მოძებნით, მაშინ მსხვილი ხაზით შემოახაზულ წრე-ხაზის

1. შინაური ცხოველი; 2. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 3. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 4. ყაზბეგის ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი; 5. ქალაქი სსრკა-ში; 6. მოქმედების სიჩქარის ხასიათი; 7. ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე; 8. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 9. მცე-

ნე ჯავახიშვილი; 12. სოფ. დუშეთის რაიონში; 13. დასავლენი ადგილი ბორჯომში; 14. მდ. საქართველოში; 15. გიორგი სააკაძის დის სახელი; 16. სოფ., სადაც დაიბადა შიო მღვიმელი; 17. მწერი; 18. მდინარე გერმანიაში; 19. ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში; 20. ისტორიული ადგილი საქართველოში; 21. ცხოველი; 22. ძველი თბილისის კუთხე; 23. ცხოველი; 24. თვის სახელწოდება; 25. სოფ. ქართლში; 26. გამოჩენილი უზბეკი პოეტი; 27. ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში; 28. ქალაქი ეგვიპტეში; 29. მდინარე გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე; 30. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო; 31. შეიარაღებული ძალები; 32. ქალაქი საქართველოში; 33. ცხოველი; 34. სოფლის მცხოვრები; 35. ფეხის სამოსი; 36. სიგრძის საზომი ერთეული; 37. ხილი; 38. კავშირ-გაბმულობის სახეობა.

შეადგინა
გ. ნახუიდაშვილმა



უჯრედებში თქვენ წაიკითხავთ დიდი ქართველი პოეტის სიტყვებს.

ნარე, ხე; 10. სახელმწიფო ახალგაზრდა აღმოსავლეთში; 11. სოფ., სადაც დაიბადა ივა-



პასუხები

კროსვორდი


ჰორიზონტალურად: 1. საქართველო; 5. შარვალი; 6. ტუნგო; 7. ტბა; 9. „ქართული“; 11. „ქაჯანა“; 13. ქობულეთი; 15. რუსთავი; 16. „გორდა“; 18. „დაისი“; 19. იორი; 20. დაირა.

ვერტიკალურად: 2. ელგუჯა; 3. ტარიელი; 4. თბილისი; 5. შირაქი; 8. მახრა; 9. ქუთაისი; 10. უშბა; 12. ლისი; 14. ურო; 17. ნიაგი.

გამოცანა

სიმინდის ტარო.



ფანქრის ერთი მოსმით



ფიგურა იბნება ისე, როგორც ეს ნახაზულ ნაჩვენებში.

რუმინული საბავშვო ჟურნალიდან

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო



SPORT

6 1/11

СМОЛЕНСКИЙ
УНИВЕРСИТЕТ

